ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი გოგბერაშვილი

ტერორიზმისა და მედიის სიმბიოზის მახასიათებლები ქართულ ონლაინმედიაში

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციისა და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მარი წერეთელი
ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის - ,,ტერორიზმისა და მედიის სიმბიოზის მახასიათებლები ქართულ ონლაინმედიაში“ მიზანია, შეისწავლოს და გაანალიზოს ის პარამეტრები, რომლებიც ტერორიზმის გაშუქებას ახლავს ონლაინმედიაში. ინტერნეტისა და მუდმივი ტექნოლოგიური მიღწევების ეპოქაში ჟურნალისტიკა ვითარდება და სახეს იცვლის. პოპულარობასთან ერთად, ონლაინმედია ინფორმაციის გავრცელების განსაკუთრებული სისწრაფით გამოირჩევა, ამიტომ, ოპერატიულობის კუთხით, მნიშვნელოვანია დადგენა, თუ როგორ შუქდება ტეორიზმის ფაქტები, კონკრეტულად, ონლაინმედიაში.

ნაშრომში გამოკვლეულია შემდეგი საკითხები: არსებობს თუ არა ქართულ ონლაინმედიასა და ტერორიზმს შორის სიმბიოზური კავშირი, რა არის ამ სიმბიოზური კავშირის მახასიათებლები, უთმობს თუ არა ქართული ონლაინმედია ტერორიზმის პრობლემას სათანადო ყურადღებას, რამდენად სიღრმისეულად აშუქებს ქართული ონლაინმედია ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს, არღვევენ თუ არა ჟურნალისტები ეთიკურ სტანდარტებს, რა როლი აქვს მედიას ტერორიზმის წინააღმდეგ, ასევე, ყურადღება გამახვილებულია მედიისა და ტერორიზმის სიმბიოზური კავშირის მიზეზებსა და მოსალოდნელ შედეგებზე.

ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი: 1. კონტენტ-ანალიზი 2. სიღრმისეული ინტერვიუ 3. თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგი. სიღრმისეული ინტერვიუ ჩატარდა მედიაექსპერტებთან, რომლებსაც ეთიკურ ჭრილში შეეძლოთ გაეცათ პასუხი ტერორიზმისა და მედიის დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, გამოეკვეთათ ამ სიმბიოზის მახასიათებლები და გამომწვევი მიზეზები. ამის საფუძველზე შესაძლებელი გახდა საერთო დასკვნების გაკეთება. დაკვირვების მეთოდი განხორციელდა 2 ონლაინმედია საშუალებაზე, on.ge-ზე და netgazeti.ge-ზე. აღნიშნული მედიაარხები რეიტინგის, ეთიკურობისა და სანდობიის პრინციპით შეირჩნენ. კონტენტ-ანალიზის საშუალებით გამოვლინდა კონკრეტული დარღვევები.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით ოთხივე ჰიპოთეზა გამართლდა. გამოვლინდა ტერორიზმისა და მედიის სიმბიოზის პარამეტრები: ქართული ონლაინმედია ტერორიზმის თემით არ არის დაინტერესებული, შესწავლილი ონლაინგამოცემები სიღრმისეულად არ აშუქებენ ამ საკითხს, შესწავლილი მედიასაშუალებები ეთიკურად არ აშუქებენ ტერორიზმის საკითხს. ნაშრომში ასახულია კვლევისას გამოკვეთილი რეკომენდაციები. დანართის სახით მას თან ერთვის კვლევისათვის გამოყენებული ელექტრონული კითხვარის ბეჭდური ვერსია.

ABSTRACT

Characteristics of Terrorism and Media Symbiosis in Georgian Online Media

Author : Giorgi Gogberashvili

The main goal for the research "Characteristics of Terrorism and Media Symbiosis in Georgian Online Media" is to study and analyze the parameters regarding online coverage of terrorism-related topics. In the era of internet and rapid technological achievements journalism is continuously developing and changing. Aside from being popular, online media is also the fastest way of spreading information, hence it is important to clarify exactly how the terrorism-related topics are being covered in online media.

The article is a research about the following topics: is there a symbiotic connection between Georgian online media and terrorism, what are the characteristics of that said symbiotic connection, is Georgian online media paying enough attention to the problem of terrorism, how thoroughly does the Georgian online media cover terrorism-related topics, what role does media play against terrorism, and finally, the research also emphasizes the reasons and possible outcomes of those symbiotic connections.

The article uses several methods of qualitative research: 1. content analysis; 2. interview; 3. framing. Media experts were interviewed during the research process to ethically answer questions regarding connections between terrorism and media, and to identify the reasons and characteristics of that said symbiosis. Based on all above some general conclusions were made. Two online media pages were studied during the research process, on.ge and netgazeti.ge. These two were chosen based on their ratings, ethicality and reliability. Based on content analysis some specific issues were pointed out.

The following masters article represents a research result, which shows that all four hypotheses were true. The parameters of symbiosis between terrorism and media were found out: Georgian online media is not interested in terrorism, online media pages that have been studied do not cover the issue thoroughly, online media pages do not cover terrorism-related topics ethically. The article also includes the recommendations. The printed version of the online questionnaire is attached to the article as well.

შინაარსი

ანოტაცია ---------- 2

შესავალი ---------- 6

1.ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 10

§ 1.1. საკითხის ეთიკური რეგულაციები ---------- 20

§ 1.2. კვლევის მეთოდოლოგია ---------- 25

§1.3. კვლევის დიზაინი ---------- 27

2. კვლევის შედეგები ---------- 30

§ 2.1. ზოგადი რაოდენობრივი ანალიზი ---------- 30

§ 2.2. მედიაგზავნილების ანალიზი ---------- 35

§ 2.3. ძირითადი ფრეიმები ---------- 43

§ 2.4. მულტიმედიური მასალის ანალიზი ---------- 46

3. სიღრმისეული ინტერვიუ ---------- 49

§ 3.1. ონლაინმედიის როლი ტერორიზმთან მიმართებაში ---------- 49

§ 3.2. გაშუქების ხარისხი და ეთიკური დილემები ---------- 56

§ 3.3. სიმბიოზური კავშირი ტერორიზმსა და მედიას შორის ---------- 62

§ 3.4. ექსპერტების რეკომენდაციები ---------- 67

დასკვნა ---------- 72

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ---------- 76

კვლევის ლიმიტი ---------- 78

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 79

დანართი ---------- 84

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. მისი გავრცელების მასშტაბები ყოველწლიურად იზრდება; იზრდება დაღუპულ ადამიანთა რაოდენობა, ყოველგვარ ზღვარს სცდება მატერიალური თუ არამატერიალური ზარალი. სადღეისოდ აღნიშნულ პრობლემას დიდი ყურადღება ეთმობა, რაც გამოწვეულია იმით, რომ ტერორი, როგორც ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი, აქტიურად გამოიყენება მთელ მსოფლიოში და მისი სიხშირე უდიდეს მასშტაბებს აღწევს. ტერაქტი წარმოუდგენელია მედიის გარეშე. მასმედია თანამედროვე მოდერნიზაციის გლობალიზებულ სივრცეში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. სწორედ ის აძლევს აღნიშნულ სივრცეს ერთიანობას (და არა პოლიცია, კანონმდებლობა, საბანკო კაპიტალი ან ენის და კულტურის ერთობა). მედიის ხასიათს ტერორისტებმა ალღო დიდი ხანია აუღეს. დროთა განმავლობაში, კომუნიკაციებისა და მასმედიის ევოლუციასთან ერთად ვითარდებოდნენ ტერორისტებიც. ინოვაციები - იქნებოდა ეს რადიოს, ტელევიზიის და შემდეგ უკვე ინტერნეტის შემოსვლა - მათ სულაც არ აფრთხობდათ, მალევე ახდენდნენ ადაპტაციას და ახერხებდნენ, მუდმივად დარჩენილიყვნენ მედიასივრცეში მთავარ თემად.

ტერორისტული ორგანიზაციებისთვის მედია გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე პლატფორმაა, ამიტომ თითქმის ყველა გავლენიან ტერორისტულ ჯგუფს აქვს „მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სტრუქტურები. მაგალითად, „ისლამურ სახელმწიფოს“ გააჩნია მოქნილი მედია აპარატი/ადმინისტრაცია და მათი მთავარი ამოცანა საკუთარი „აქტივობების“ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად შეფუთვაა(მაღალი ხარისხის ვიდეობი, მოკლემეტრაჟიანი ფილმები, სიუჟეტები და ა.შ).

აღნიშნულ საკითხს სირთულეს მატებს სწორედ ტერორისტული ჯგუფების მოქმედების ეფექტური გავრცელების შესაძლებლობა, რაც საერთაშორისო საზოგადოებაში შეშფოთების საგანია. დროთა განმავლობაში იცვლება ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის

ფორმები და მეთოდები, რომლებიც ეფუძნება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ტერორისტულმა დაჯგუფებებმა კარგად აითვისეს თანამედროვე საშუალებები და მედიას თავის სასიკეთოდაც კი იყენებენ, რადგან მუქარებს მათი საშუალებით ავრცელებენ. ვინაიდან ტერორიზმის მთავარი ფუნქცია ადამიანებში შიშისა და პანიკის დათესვაა, ამიტომ მას საჯაროობა, საკუთარი აზრების საზოგადოებაში გავრცელება სჭირდება. ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ოპერატიული საშუალებაა მედია, განსაკუთრებით კი ონლაინმედია. შესაბამისად, ნებისმიერი ტერორისტული აქტი თუ მუქარა, მაშინვე ინტერნეტში თავსდება. ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, ტერორისტული დაჯგუფებებისთვის აუცილებელია, ინფორმაცია მათთვის სასურველი კუთხით გაშუქდეს. მათ იციან, რომ ტრაგედია და შოკისმომგვრელი ამბები მედიაში კარგად იყიდება: გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ, რადიო დროის მცირე ინტერვალით საუბრობს, ტელევიზიისთვის, ვიზუალიზაციის კუთხით, მნიშვნელოვანია მსგავსი კადრების გაშვება და რეიტინგის მოპოვება, ხოლო ონლაინმედიაში თითქმის 24 საათის განმავლობაში არ წყდება ინფორმაციის მოწოდება, ამასთან სოციალური მედიის წყალობით, ადამიანებს შეუძლიათ სხვადასხვა ონლაინგამოცემის ერთი და იმავე თემაზე მოწოდებული ინფორმაცია რამდენიმე წუთის ინტერვალით სხვადასხვა ფორმით მიიღონ. აქედან გამომდინარე, დიდი ცდუნებაა ტერორისტული შინაარსის მქონე მასალების გავრცელება. ამ შემთხვევაში კი მედია ტერორიზმის უნებური ხელშემწყობი ხდება.

შეცდომებისა და საფრთხის ასაცილებლად, აუცილებელია ჟურნალისტმა თუ სხვადასხვა გამოცემამ გაითავისონ გაშუქების მნიშვნელობა, რათა უნებლიეთ არ აღმოჩნდნენ ტერორისტების ხელში, მასებზე ზემოქმედების მქონე იარაღად.

ონლაინმედიით ეს განსაკუთრებით დაუშვებელია, რადგან შეიძლება ადამიანი ვერ უყურებდეს ტელევიზორს, მაგრამ მას თანამედროვე სამყაროში ინტერნეტთან წვდომა მუდმივად აქვს, ამიტომ ჟურნალისტის ნებისმიერი არაპროფესიული ქმედება ამ თემის ირგვლივ ხელს უწყობს ტერორისტების მიზანს, ხალხი შიშმა და ანარქიამ მოიცვას.

ინფორმაციულ სამყაროში ცხოვრებამ და ტექნოლოგიურმა განვითარებამ მათ შესაძლებლობა მისცა, თავიანთი მიზნების გავრცელების არეალი გაეზარდათ. გარდა იმისა, რომ ტერორისტულმა ჯგუფებმა თავად შექმნეს ტელევიზია, ონლაინმედია, რადიო, გაზეთი და ამით ცდილობენ ადამიანებზე მოქმედებას, ამასთან კარგად აქვთ გამომუშავებული ის უნარ-ჩვევები, რომელთა საშუალებითაც ახერხებენ მედიის საკუთარ იარაღად ქცევას. განსაკუთრებით კი ახალი მედიის, რადგან მასშტაბურად ვიდეო-აუდიო ჩანაწერებსა და მიმართვებს სწორედ ონლაინმედიითა და სოციალური ქსელებით ავრცელებენ. ონლაინმედია ოპერატიულია, აქვს ფართო გავრცელების არეალი, შეუძლია ინფორმაციის ელვისებური სისწრაფით გავრცელება, სწრაფი უკუკავშირი - დამოკიდებულების შესწავლა შესაძლებელია პოზიციის გაჟღერებისთანავე, იგი აღარ საჭიროებს შუამავალს საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის. ამას ემატება კავშირი სოციალურ მედიასთან.

ონლაინმედიამ საქართველოში არც ისე დიდი ხანია მყარად მოიკიდა ფეხი. NDI-ის მიერ 2018 წლის მარტში ჩატარებული გამოკითხვების მიხედვით, ტელევიზიით უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს. ინფორმაციის პირველი წყარო ინტერნეტის შემთხვევაში 18%-ია, ხოლო მეორე - 25%, როდესაც ტელევიზიით 72%(პირველ წყარო) და 13%(მეორე წყარო), მაგრამ ამას განაპირობებს საქართველოში ის ფაქტიც, რომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ინტერნეტი(გარდა მობილურისა) ხელმისაწვდომი არ არის, თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ონლაინმედიის მომხმარებელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. მაგ. 2015 წლის აპრილში ინტერნეტს ინფორმაციის პირველწყაროდ მხოლოდ 7% მიიჩნევდა, ხოლო ტელევიზიას 87%. სადღეისოდ კი აღნიშნული მონაცემები საგრძნობლად შეცვლილია. ეს ტენდენცია ყველა ქვეყანაში შეიმჩნევა, რასაც ემატება ახალი მედიის ფორმა და შინაარსი, შესაბამისად, ტერორისტულ დაჯგუფებებს ციფრული მედიის წყალობით, შეიძლება ითქვას, რომ გზა ხსნილი აქვთ.

საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა დადასტურდა გაეროს მიერ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჟურნალისტებს მოუწოდა ნებაყოფლობით მიიღონ ეთიკის ახალი კოდექსი, რომელიც ტერორიზმის გაშუქებასთან მიმართებით განსაზღვრავს

ეთიკის ნორმებს. გაერო მიიჩნევს, რომ საერთაშორისო პრესა შესაძლებელია იყოს, როგორც გამანეიტრალებელი ეფექტური საშუალება ,,მასობრივი მკვლელობებისა და თვითშეწირვის განმადიდებელი ჰიპერნაციონალისტური და ქსენოფობიური გზავნილებისა", მაშასადამე, მთელი ტერორისტული პროპაგანდისა, რომელიც მუდმივად კვებავს ტერორიზმს ადამიანური და მატერიალური რესურსებით.

მედია, ტერორიზმის გაშუქების კუთხით, რთულ გამოწვევათა ერთობლიობის წინაშეა, -მას სურს პირველმა მოგვითხროს ამბავი, რაც შეიძლება დრამატულად და ,,მიმზიდველად“. საზოგადოებამაც უნდა იცოდეს, რა ხდება საკუთარ ქვეყანასა თუ სამყაროში და ამ მხრივ დაცულიც არის სიტყვის თავისუფლება. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ეს მოთხოვნები მასმედიას დილემის წინაშე აყენებს და ტერორისტთა იარაღად აქცევს.

მედიას, შესაძლოა, არ აქვს მის წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულება და არც უნარი(ბევრი მკვლევრის აზრით, იგი გამოყენებული უნდა იყოს, როგორც ყველაზე ეფექტური იარაღი ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად), მაგრამ მას აქვს ვალდებულება, რომ არ შეუწყოს ხელი ტერორისტთა მიზნებს და ამით ადამიანები არ დააზარალოს. ამის მიუხედავად, ქართულ ელექტრონულ რესურსებსა და ბიბლიოთეკებში თითქმის არ მოიძებნება ტერორიზმსა და მედიას შორის სიმბიოზური დამოკიდებულების შემსწავლელი, სრულფასოვანი სამეცნიერო კვლევა. ძირითადად ვხვდებით შემთხვევის ანალიზებს, ე.წ. case study-ებს, რომელიც მთლიანი სურათის წარმოსადგენად არ არის საკმარისი. გაცილებით მეტი რაოდენობის კვლევაა ჩატარებული ამერიკაში, ევროპის უამრავ ქვეყანაში, ამიტომ ამ კვლევაში მიმოხილული იქნება მათი გამოცდილება და რეკომენდაციები ქართულ მაგალითებისათვის.

ამგვარად, წარმოდგენილ ნაშრომში შეფასდება ტერორიზმისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ურთიერთკავშირის ზოგადი სურათი, აგრეთვე, განისაზღვრება შემდგომი ქმედებები და რეკომენდაციები მასმედიისთვის.

თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა

- **ტერმინის განმარტება**

ტერორიზმსა და მედიას შორის არსებული დამოკიდებულების, მათი ურთიერთმიმართების შესწავლა ტერორიზმის განმარტების გარეშე შეუძლებელია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სამართლებრივად შეთანხმებული განსაზღვრება. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა და სამთავრობო უწყება სხვადასხვა განმარტებას იყენებს. საერთაშორისო თანამეგობრობამ ვერ ჩამოაყალიბა, ამ საყოველთაოდ აღიარებულ დანაშაულზე, იურიდიულად სავალდებულო განმარტება. ეს სირთულეები წარმოშობილია მისი თანამდევი პოლიტიკური და ემოციური ფონიდან გამომდინარე.

ტერმინი „ტერორიზმი“ ფრანგულიდან მომდინარეობს. „ტერორი“ და „უდიდესი შიში“ ზმნა terrere-ს უკავშირდებოდა. 1793-94 წლებს La Terreur-ს უწოდებენ. რობესპიერმა 1974 წელს თქვა, რომ „ტერორი არის სამართალი, წესრიგი, გულმოდგინება“. ხალხის უსაფრთხოების დამცველები, რომლებიც „ტერორის“ ინტერესებს ატარებდნენ, ტერორისტებად მოიხსენიებოდნენ. 1798 წელს ინგლისურ ლექსიკონში სიტყვა „ტერორისტი“ პირველად განიმარტა, როგორც „ტერორის პოლიტიკის სისტემატიური გამტარებელი“.

მიუხედავად იმისა, რომ ტერორი ფრანგებმა შემოიღეს, დღეს „ტერორიზმს“ არა სამთავრობო პოლიტიკური აქტივისტების მიერ ადამიანების დახოცვასთან აიგივებენ. ეს მნიშვნელობა ტერმინს 1870-იან წლებში მიანიჭა რუსმა რადიკალმა სერგეი ნეჩაიევმა, რომელმაც სახალხო რეპრესიები მოაწყო 1869 წელს და თავს ტერორისტს უწოდებდა. გერმანელმა მწერალმა იოჰან მოსტმა 1880 წელს თავის ნაშრომში „რჩევა ტერორისტებს“ სიტყვის ამ მნიშვნელობას პოპულარიზაცია გაუწია. მაირა უილიამსონის თქმით, „სიტყვა ტერორიზმმა ტრანსფორმაცია განიცადა. ტერორიზმი იყო რევოლუციური გზა, რომელიც ხალხის მტრების წინააღმდეგ იყო მიმართული. ახლა კი სიტყვა „ტერორიზმს“ იყენებენ ისეთი ტერორისტული აქტების აღსაწერად, რომელიც სხვადასხვა პირების მიერ სახელმწიფოს წინააღმდეგ ხორციელდება“.

გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი 2002 წლის ოქტომბრის განცხადებით ცდილობდა ტერორიზმის განმარტებას: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. (რუბაშვილი ვასილ. ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციებში // ახალი აზრი №1 (7),- 2003წ).

საერთაშორისო თანამეგობრობა ტერორიზმთან დაკავშირებულ ორ ყოვლისმომცველ კონვენციაზე მუშაობდა: 1) 1937 წელს ერთა ლიგამ შეიმუშავა ტერორიზმის პრევენციისა და დასჯის კონვენცია, მაგრამ ძალაში არ შევიდა. 2) გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დღემდე არ დაუსრულებია მუშაობა.

1930-იანი წლების ბოლოს საერთაშორისო თანამეგობრობას ტერორიზმის განსაზღვრების ჩამოყალიბების პირველი მცდელობა ჰქონდა. ტერორიზმის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ, 1937 წლის ტერორიზმის პრევენციისა და დასჯის კონვენციის მუხლი 1.1-ის მიხედვით, ,,ტერორისტული აქტები", როგორც ,,სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებრივი ქმედებები, მიზნად ისახავს შექმნას სახელმწიფოს ტერორი კონკრეტული პირების ან პირთა ჯგუფის ან საზოგადოების საერთო გონებაში".

2000 წლიდან გაერთიანებული ერების გენერალური ანსამბლეა ყოვლისმომცველი კონვენციის შემუშავებას ცდილობს. 2002 წელს ტერორიზმის განმარტება შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1.ამ კონვენციის მიხედვით, ნებისმიერი პირი, რომელიც დანაშაულს განზრახ ჩადის და შეიძლება გამოიწვიოს :

- ნებისმიერი პირის სიკვდილი ან სერიოზული დაზიანება;
- საჯარო ან კერძო საკუთრების სერიოზული ზიანი, მათ შორის საჯარო სარგებლობის ადგილი, სახელმწიფო ან სამთავრობო დაწესებულება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა, ინფრასტრუქტურის ობიექტი ან გარემო;
- ამ მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტში მოხსენიებული ქონების, ადგილების, ობიექტების ან სისტემების დაზიანება, რაც გამოიწვევს ძირითად ეკონომიკურ

ზარალს, როდესაც ქცევის მიზნები, მისი ბუნებით ან კონტექსტით მოსახლეობის დაშინებაა ან ხელისუფლებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დაშინება ან მოქმედებებისგან თავის შეკავება.

კონვენციას ბევრი კრიტიკოსი ჰყავს. ნაწილს არ მოსწონს, რომ არაფერია ნათქვამი ადამიანთა უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ხოლო ნაწილი სამხედრო ძალების რეგულირებას ითხოვს. შესაბამისად, ყოვლისმომცველ კონვენციაზე მუშაობა ჯერ კიდევ პროცესშია.

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო აყალიბებს ტერორიზმის ოთხ ძირითად დამახასიათებელ ელემენტს:

- ძალადობის წინასწარ დაგეგმილი და არაიმპულსური აქტი.
- ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად;
- ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ
- და ბოლოს, იგი ხორციელდება ქვეეროვნული დაჯგუფების მიერ.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონის მიხედვით, საერთაშორისო ტერორიზმი არის საერთაშორისო ხასიათის დანაშაულის ნაირსახეობა. გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების (უმეტესად, პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვ.) მისაღწევად ძალადობის, ტერორისტული აქტების საჯაროდ განხორციელებით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინებით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლით.

საქართველოს კანონში ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ(მუხლი 1, ა) აღნიშნულია, რომ ტერორიზმი არის ძალადობა ან ძალადობის გამოყენების მუქარა, მიმართული ფიზიკური ან იურიდიული პირების წინააღმდეგ... ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერების გამოყენებით ან ადამიანის გატაცებითა თუ მძევლად აყვანით, რათა ხელისუფლება ანდა მისი რომელიმე ორგანო ან საერთაშორისო ორგანიზაცია იძულებული გახდეს, განახორციელოს გარკვეული ქმედება ან თავი შეიკავოს გარკვეული ქმედების

განხორციელებისაგან, რომელიც ტერორისტების მართლსაწინააღმდეგო ინტერესებში შედის;

ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული განმარტების ჩამოყალიბება ვერ ხერხდება, მიუხედავად იმისა, რომ მიზნები ცნობილია. სხვადასხვა ავტორი საკუთარი ინტერპრეტაციით გვთავაზობს თითქმის იდენტურ განმარტებებს. ჯერჯერობით ვერც საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება მის სამართლებრივ მხარეზე და არ არსებობს ერთიანი სამართლებრივი სისტემა ტერორიზმის შესახებ. გაერთიანებული ორგანიზაცია აგრძელებს ამ საკითხზე მუშაობას - ეს მათი დღის წესრიგია.

- **მედიისა და ტერორიზმის სიმბიოზი**

მედიასა და ტერორიზმს შორის არსებული კავშირის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, თემის აქტუალობის მიუხედავად, არ მოიძებნება სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის მასალები, ხოლო დასავლეთში ეს ბოლო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოკვლეული თემაა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად შესწავლილია ტერორიზმის არსი, მისი გლობალური და პოლიტიკური კონტექსტი და მასთან მიმართებით, იურიდიული საკითხები. მაგ. ანა ჭიღიტაშვილის ნაშრომში, „ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა : კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში“, განხილულია ტერორიზმის არსი, მისი გამომწვევი მიზეზები და ტერორიზმის, როგორც კაცობრიობისთვის საფრთხის შემცველი მოვლენის გლობალური მასშტაბები.

მერაბ ურუშაძეს ნაშრომში „გლობალიზაცია – გლობალური ტერორიზმის საფრთხე“ განხილული აქვს ტერორიზმის საფრთხის გლობალური ასპექტები და თანამედროვე გამოვლინება ინტერნეტის საშუალებით.

ამერიკელი ისტორიკოსი და პოლიტოლოგი ვალტერ ლაკერი(Walter Laqueur, 1999) თავის წიგნში „ახალი ტერორიზმი“ წერს, რომ მედია ტერორიზმის საუკეთესო მეგობარია.

ტერორისტის ქმედება თავისთავად არაფერია, საჯაროობა – ყველაფერი. იმის მიუხედავად, რომ ჟურნალისტებს აქვთ პასუხისმგებლობა, ახალი ამბები ზუსტად და კეთილსინდისიერად გააშუქონ, ისინი ტერორისტული დაჯგუფებების მარჯვენა ხელი ხდებიან, როცა ზღვარს გადაკვეთენ და ფაქტის უწყვეტ გაშუქებას იწყებენ. ლაკერის აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ მედიას სიმპათიები აქვთ ტერორისტული დაჯგუფებების მიმართ. მაგრამ მათთვის მთავარი არის ნიუსი, ხოლო ძალადობა არის ნიუსი, მშვიდობა და ჰარმონია კი - არა. მედია ცდილობს, ტერორიზმში ყველა საინტერესო ისტორიის ინგრედიენტები იპოვოს.

ამავე აზრს ეთანხმება ბრიტანელი კონსერვატიული პოლიტიკის მიმომხილველი და რადიო თავისუფლების ვიცე - პრეზიდენტი ჯონ ო'სალივანი(John O'Sullivan, 2006), რომელიც ჟურნალისტებს მოუწოდებს, დიდი მასშტაბებით არ გააშუქონ სხვადასხვა ტერორისტული აქტები და განსაკუთრებით თავი შეიკავონ შეფასებებისგან. მისი აზრით, „მაშინაც კი, როცა ტერორისტული ქმედება მკაცრად არის დაგმობილი პრესაში, ტერორისტი მაინც აღწევს მიზანს, რადგან მას ისე ეპყრობიან, თითქოს მისი წვლილი საჯარო მსჯელობაში ყურადღების ღირსი იყოს. იგი ერთგვარი პოლიტიკოსი ხდება".

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის უსაფრთხოების კვლევების ცენტრის დირექტორი ბრიუს ჰოფმანი(Hoffman, B. 2006) წიგნში „ტერორიზმი შიგნიდან" აღნიშნავს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ ძალიან მნიშვნელოვანია მიშელ ფუკოს თეორია მეთვალყურეობის შესახებ. ინფორმაციის მიწოდება ქსელურად უნდა მოხდეს, ამის საშუალებას კი თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა: ,,მხოლოდ, ტერორისა და აღშფოთების გავრცელებით უფრო ფართო საზოგადოებაში, ტერორისტებს შეუძლიათ მაქსიმალური ბერკეტების მოპოვება".

ტერაქტის მსხვერპლი მხოლოდ ინსტრუმენტია მესამე პირთა ფართო წრის დასაშინებლად. ტერორისტული ორგანიზაციები ძალადობრივი აქტებით საუბრობენ საზოგადოებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ პოლიტიკოსებთან და მათი ქმედებები გარკვეული შეტყობინებების მატარებელია. რატომ ირჩევენ საკომუნიკაციოდ ასეთ ენას - ეს ცალკე

კვლევის საგანია, თუმცა, დღეს არსებულ მოცემულობაში ეს ვითარება გვაქვს. მედია კი ცდილობს, ახალი ამბავი, რაც შეიძლება მეტად იყოს, ადამიანების ყურადღების მიმპყრობი ანუ შემზარავი და მძაფრი. ამიტომაც, ტერორისტულ ჯგუფებსა და მედიას შორის ინტერაქტიული ურთიერთობა ჩამოყალიბდა.

უპირველეს ყოვლისა, მედიამ უნდა შეასრულოს საკუთარი ამოცანა და ახალი ამბები გააშუქოს, ამ დროს ტერორიზმი ზეობს და მიზანს აღწევს. ადამიანებს შიში ეუფლებათ და უსაფრთხოდ ვეღარ გრძნობენ თავს. ამის მიუხედავად, პროფესიონალურად გაშუქების შემთხვევაში, ერთადერთი ბრძოლის იარაღი ეს მეთოდია. ჰოფმანი ეთანხმება მოსაზრებას, რომ ახალი ამბები მუდმივად მხოლოდ ტერორიზმის შესახებ არ უნდა იყოს და ის უნდა გახდეს, უბრალოდ, შემადგენელი ნაწილი ახალი ამბებისა, ისეთივე, როგორც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სიახლეებია.

გაბრიელ ვაიმანის(Weimann G., 2004) სპეციალური ანგარიშის „როგორ იყენებს თანამედროვე ტერორიზმი ინტერნეტს“ მიხედვით, ორგანიზებული ტერორისტული აქტის 90% ინტერნეტის მეშვეობით ხდება. მთავარ როლს ის ანიჭებს სოციალურ მედიას, მათ აღარ სჭირდებათ შუამავლები, ამის გამო საქმე უადვილდებათ და ამის წყალობით შეუძლიათ პირდაპირ განსაზღვრონ სამიზნე და აუდიტორია. ვაიმანი ონლაინმედიაზე მეტად, სოციალურ მედიას ადანაშაულებს და მათ ამ საკითხში გაერთიანებას ურჩევს.

ამ შეხედულებას იზიარებს ნაშრომში „საშინაო ტერორიზმი: ტერორიზმის უახლესი ფორმის წინააღმდეგ ომის თეორია და კონკრეტული შემთხვევები“ ივენ კოლმენი (Evan F. Kohlmann, 2008), რომელმაც ინტერნეტის, ახალი მედიისა და ტერორიზმის საკითხი ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა და აღნიშნა, რომ ინტერნეტი და მედია ტერორისტებს მომხრეების გადაბირების, მიზეზების ახსნის, შიშის დათესვისა და პოტენციური ტერორისტული აქტების ინსტრუქციის საშუალებას აძლევს.

დომინიკ რონერი და ბრუნო ფრეი(Dominic Rohner, Bruno S. Frey, 2007) ნაშრომში „სისხლი და მელანი - საერთო ინტერესთა თამაში მედიასა და ტერორიზმს შორის“ ამტკიცებენ, რომ

მედიასა და ტერორიზმს შორის სიმბიოზური კავშირი არსებობს. სხვადასხვა მაგალითების მიხედვით ავტორები გვთავაზობენ დასკვნას, რომ ტერორისტები იღებენ სასურველ შედეგს, ხოლო მედია სარგებლობს იმით, რომ მის მიერ გაშუქებულ ამბავს ბევრი მნახველი ჰყავს. სწორედ ამიტომ ირჩევენ ტერორისტები ისეთ მოვლენებსა და ადგილებს, რომლებსაც მედია აუცილებლად გააშუქებს.

სტივენსი და ნოიმენი(Stevens, T. and P. R. Neumann, 2009) მიიჩნევენ, რომ მედიას სტრატეგიული ნაკლი აქვს, რადგან კომუნიკაციური მიდგომები ტერორიზმის წინააღმდეგ გაცილებით უფრო მარტივი უნდა იყოს, ვიდრე არის. მისი თქმით, უნდა დაიწეროს ონლაინანგარიშები, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ტერორიზმს, ნაკლებად უნდა მოხდეს ფოკუსირება ტერორისტული დაჯგუფებების მიერ გავრცელებულ მასალებზე. დღევანდელ მიდგომას კი მოძველებულს უწოდებენ და პირველი მსოფლიო ომის დროინდელ მიდგომებს ადარებენ.

უაითმა (White, H. C. 2008) იმ ნარატივებზე გააკეთა აქცენტი, რომლებიც ბოლო წლებში მედიამ გამოიყენა. მედიამ ტერორისტულ დაჯგუფებებს მისცა „უფლება“, რომ თხრობით ფორმაში გადაეყვანა ბევრი აქტი. ეს არ არის მხოლოდ სიტყვები და რიტორიკა, ამით ტერორისტები კიდევ უფრო ძლიერები ხდებიან. ავტორმა ამაში ონლაინმედიასთან ერთად სოციალური მედიაც დაადანაშაულა: „დღეს ადამიანთა გონება დაცული არ არის“.

ალექსანდრ სპენსერის(Spencer A., 2012) კვლევაში „ტერორიზმი და მედია“ აღნიშნულია, რომ მედიასა და ტერორიზმს შორის სიმბიოზური ურთიერთობა არსებობს: ტერორისტული დაჯგუფებები მედიის საშუალებით შიშს ნერგავენ, ხოლო მედიისთვის ტერორიზმი უზრუნველყოფს საინტერესო და ძალადობრივ ისტორიებს, რომლებიც ეხმარება პროდუქტის გაყიდვაში. ავტორი სვამს კითხვას : „რა მოხდება, თუ მედია არ გააშუქებს ტერორისტულ აქტებს?“. მისი აზრით, ეს შეამცირებს ტერორისტულ აქტებს, მაგრამ ცენზურა დაპირისპირებაში მოდის დემოკრატიულ პრინციპებთან, ხოლო ინტერნეტით ამ ამბის გაუვრცელებლობა შეუძლებლად მიაჩნია. დასკვნის სახით კი დასძენს, რომ ასეთ

დროს თვითცენზურა ყველაზე კარგი საშუალება იქნება საზოგადოების დახმარებისთვის, თუმცაღა, თვითცენზურაში გაუშუქებლობას არ გულისხმობს.

ჯეიმს უოლში(Walsh J.I., 2010) ნაშრომში „მედია ყურადღება ტერორისტული თავდასხმების შესახებ: მიზეზები და შედეგები“ გამოკვლევებით ამტკიცებს, რომ მედიამ ტერორიზმის გაშუქებით გაზარდა შიში საზოგადოებაში და ამით მიზნის მიღწევაში დაეხმარა და მათ შორის სინთეზი არსებობს მაგრამ აქ ერთ-ერთ გზას ავტორი მეტ პოლიტიკურ ჩარევაში ხედავს, თუმცა, არ აკონკრეტებს, რა შეიძლება იყოს ეს „პოლიტიკური ჩარევა“.

ამ სფეროს ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი მიხაელ შტოლცი(Michael Schtolz) მედიას, განსაკუთრებით კი, ონლაინმედიას, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებადაც კი განიხილავს, რადგან მიიჩნევს, რომ ორგანიზაციისა და მათი მიზნების ფარგლების დასადგენად, ყველაზე ეფექტური გზაა ტერორისტული ინციდენტების ისტორიული და ნაციონალური ანალიზია. (Taha Najem, 2015, The symbiotic relationship between the media and terrorism)

პროფესორი ტაჰა ნაჯემი(Taha Najem, 2015) სამეცნიერო სტატიაში „სიმბიოზური ურთიერთობა ტერორიზმსა და მედიას შორის“ აღნიშნავს, რომ მედია ხშირად ტერორისტულ ორგანიზაციებს ლეგიტიმაციას ანიჭებს, რადგან მედია არის ინფორმაციის საიმედო წყარო, ქმნის მარკეტინგულ და საჯარო პროდუქტს, რაც ემთხვევა ტერორისტების მიზნობრივ ხედვას. ,,ტერორისტული ორგანიზაციების ძირითადი ამოცანა ხშირად საჯაროობის მოპოვებაში აისახება. ზოგიერთ შემთხვევაში, საჯაროობაა ერთადერთი ობიექტივი, რათა შეიქმნას ტერორისტული პროპაგანდა“. ნაჯემის აზრით, მედიის ყურადღების გარეშე ტერორისტები ვერ მიაღწევენ შემდეგ 4 მიზანს :

- ჯგუფის სახელის ან იდეოლოგიის აღიარება
- მხარდამჭერებთან კომუნიკაციის უნარი
- დაუკავშირდეს ადგილობრივ ხელისუფლებებს
- ამჟღავნებს ამჟამინდელი ხელისუფლების ლეგიტიმურ პოლიტიკურ ალტერნატივას.

ს.მ. კოჩოის (*S. M. Kochoi., 2005)* აზრით, მედიასტრუქტურებსა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის არის ინტერაქტიული (სიმბიოზური) ურთიერთობები, რადგან მასმედიას აქვს მულტიმედიური შინაარსის წარმოებისათვის ინდუსტრიული შაბლონები, რაც სენსაციური ინფორმაციის უპირატესობას ანიჭებს ასეთ ჯგუფებს.

მედელინის ეკონომიკისა და ფინანსთა უნივერსიტეტის პროფესორმა და ბონის კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარმა მაიკლ ჯეტერმა(*Michael Jetter,2017)* გაანალიზა 1970-2012 წლებში ,,ნიუ-იორკ ტაიმზში" გაშუქებული 60 000-ზე მეტი ტერორისტული შეტევა. მისი თქმით, ისლამური სახელმწიფოს მიერ გადაღებული და ინტერნეტში თავისუფლად განთავსებული გრაფიკული ვიდეოები ასეთ ჯგუფებს გლობალურ, საშიშ ბრენდად აქცევს. ტერორისტული ორგანიზაციები ფართო მედიის ყურადღებას იწვევენ. თალიბანი, ალ-ქაიდა, ბუკო ჰარამი თუ ისლამური სახელმწიფო, ტერორიზმი ყველგან არის: ტელევიზიით, გაზეთებით და რადიოთი. ტერორისტებს მედიის გაშუქება სჭირდებათ, რომ გაავრცელონ შეტყობინება, შეიქმნას შიში და გამოჩნდნენ მიმდევრები.

ტერორისტებს შეუძლიათ გამოიყენონ ინტერნეტმედია ფულისა და გავლენის მისაღებად. ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ კი ღიად ავრცელებენ შეტყობინებებს და ცდილობენ უფრო და უფრო მეტი ადამიანის გადმობირებას. თავიანთ მიზნებს ნიღბავენ საქველმოქმედო და რელიგიური ორგანიზაციებით, რომელთა უკანაც თვითონ დგანან. ინტერნეტმედიის გარეშე მათი მიზნები ასე რეგულარულად არ იქნებოდა გავრცელებული. მედია ჩაფლულია კონკურენციაში, რომლითაც კარგად სარგებლობენ. ცდილობენ, პირველებმა გამოაქვეყნონ სიახლეები და სტატიები, მაგრამ საბოლოოდ ხდებიან „ტერორისტული მედია", რომელიც ხელს უწყობს მათი მიზნების გავრცელებას. ონლაინმედიით ტერორისტებს შეუძლიათ მიიღონ რეკრუტები. ისინი ათავსებენ ვიდეორგოლებს თავდასხმების მიზეზებზე, ასევე, მკვლელობებისა და წამების კადრებს. ყველა ეს პოსტი იქმნება, რათა, გარკვეულწილად, შეინარჩუნონ მათი მიმდევრები და მხარი დაუჭირონ ტერორისტულ საქმეებს.

მკვლევრები თანხმდებიან, რომ ონლაინმედიის განვითარებამ და პოპულარიზაციამ ტერორისტულ დაჯგუფებებს გაუადვილა მიზნები: ინფორმაციის მოძიება, ადამიანებში

პანიკის გამოწვევა, პოტენციური სამიზნე ადგილების მოძებნა და ა.შ. ისინი არ უარყოფენ მედიის უპირველეს ამოცანას, გააშუქოს მნიშვნელოვანი ამბები და საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია, მაგრამ უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ფოკუსირება მხოლოდ ტერორისტულ აქტებზე არ უნდა ხდებოდეს და ის, უბრალოდ, სხვადასხვა სიახლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. ისინი ფიქრობენ, რომ პრობლემა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მედია აშუქებს ტერორიზმს, არამედ პრობლემაა, თუ როგორ აშუქებს: რა ნარატივებით, რა სიმძაფრით, რომელი სურათების უსასრულოდ გამეორებით.

მკვლევრების მოსაზრებები ერთმანეთისგან განსხვავებულია და ზოგი დემოკრატიასა და თავისუფალ სიტყვასთან წინააღმდეგობაშიც კი მოდის, რადგან ასეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გაუშუქებლობა უფრო დიდი პრობლემას წარმოშობს, ადამიანებს ინფორმაცია არ ექნებათ და ტერორისტულ ორგანიზაციებს მომხრეთა შეკრების მეტი შესაძლებლობა გაუჩნდებათ. ამასთანავე, სერიოზულად არ ჟღერს ტერორისტული აქტის ისეთივე ნიუსად გაშუქება, როგორიც არის მაგალითად, სოციალური ან ეკონომიკური, რადგან ჟურნალისტიკა დღის მთავარ მოვლენას ჩვეულებრივ მოვლენად ვერ აქცევს და ეს არც არის მათი მიზანი, თუმცაღა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 24 საათის განმავლობაში მედია მხოლოდ ტერორიზმის შესახებ ამახვილებდეს ყურადღებას. მედიაარხებს ურჩევნიათ ასეთი საკითხები მუდმივად ატრიალონ, ვინაიდან ეს თემა უფრო რეიტინგულია და მედიამფლობელთა ბიზნესინტერესებში შედის. სწორედ ამ დროს, როდესაც ისინი ერთმანეთის საშუალებით სარგებელს იღებენ, შეინიშნება ინტერაქტიული კავშირი მედიასა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის.

ბევრი მკვლევრის შეხედულება კი თანხვედრაშია: ზოგიერთი ასპექტი მეტად რეალურად უნდა იყოს აღქმული, კომუნიკაციის ტექსტი გამარტივდეს, რათა ხელი შეუწყოს კონკრეტული ტექსტის განმარტებას. შესაძლებელი არ უნდა იყოს მიზნობრივი ინტერპრეტაცია და მორალური შეფასება. მათი აზრით, თუ კრიტერიუმებს დაიცავს, შეიძლება მედია, ასეთი მასშტაბებით, აღარ გახდეს ტერორიზმის ხელმშემწყობი, თუმცაღა,

სხვა შემთხვევაში მედიასა და ტერორიზმს შორის სიმბიოზური ურთიერთობა გარდაუვალია.

§ 1.1. საკითხის ეთიკური რეგულაციები

ვინაიდან წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, გამოავლინოს არა წინასწარ დაგეგმილი, მაგრამ სიმბიოზური კავშირი ონლაინმედიასა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის, მნიშვნელოვანია გააზრება იმ ეთიკური პრობლემებისა, რომლებიც ტერორიზმის საკითხების გაშუქებისას ვლინდება. ყურადსაღებია მიმოხილვა იმ რეგულაციებისა, რომლებიც მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს თუ პრესის საბჭოებს აქვთ დაწესებული.

- **საერთაშორისო ეთიკური რეგულაციები და რეკომენდაციები**

ვინაიდან, მასმედიას დიდი ზეგავლენა აქვს საზოგადოებაზე, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებმა ობიექტურად და ბალანსის დაცვით გააშუქონ ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხები. ამ დროს ჟურნალისტის წინაშე უამრავი დილემა ჩნდება. იმის მიუხედავად, რომ დასავლურ პრესას არაპროფესიონალიზმი და არაეთიკურობა ნაკლებად ახასიათებს და ეს ჩანს ტერორიზმის გაშუქების დროსაც, საერთაშორისო მედიასაშუალებები და მედიაორგანიზაციები მაინც სთავაზობენ რეკომენდაციებს ტერორისტული აქტების გაშუქებასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ თავიანთი შეხედულებები ჩამოაყალიბეს ისეთმა გავლენიანმა გამოცემებმა, როგორებიც არიან : Reuter, BBC, CJC და Dart Center for Journalism and Trauma.

Reuters Handbook-ის ტერმინთა განმარტებების მიხედვით, ტერორისტი, ტერორიზმი - ეს ის ტერმინებია, რომელთა განმარტებაც მედიისთვის მუდმივად პრობლემურია. ასევე გვხვდება მსჯელობა იმის თაობაზე, შეიარაღებული პირი ტერორისტია თუ თავისუფლებისათვის მებრძოლი ან რა ტერმინები უნდა გამოიყენონ ჟურნალისტებმა? და რომ ჟურნალისტებმა არ უნდა შეცვალონ სიტყვა „ტერორისტი“ სხვა სიტყვით, როცა ის ნახსენებია რესპონდენტის ციტატაში. ასეთ დროს ჟურნალისტმა ყველა შესაძლო გზით,

ნათლად უნდა მიახვედროს მაყურებელი, რომ იგი ციტირებს სხვას და არ იყენებს საკუთარ ტერმინოლოგიას. თავად ჟურნალისტი ამ სიტყვის გამოყენებას მაქსიმალურად უნდა ერიდოს არა იმიტომ, რომ ჟურნალისტი ნეიტრალურია ან აქვს გარკვეული სიმპათია ტერორიზმის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ, ზოგადად, ტერორიზმი რთული მოვლენაა, რომელსაც არც თუ ისე იშვიათად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ქვეტექსტებიც ახლავს ხოლმე. ამასთან, როგორც აღვნიშნეთ, მის ზუსტ განმარტებაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს დისკუსია.

BBC-ის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ტერორიზმის საკითხების გაშუქებისას მნიშვნელოვანია გავრცელდეს გადამოწმებული ინფორმაცია, განსაკუთრებით, ინფორმაცია მსხვერპლისა და დანაკარგების შესახებ. ტერორისტული აქტები უნდა გაშუქდეს ოპერატიულად, აკურატულად და დიდი პასუხისმგებლობით. რადგან ტერორიზმი, პოლიტიკური მოტივებით, რთული და ემოციური საკითხია, ტერორისტული აქტების გაშუქებისას მნიშვნელოვანია გამოყენება ისეთი ჟურნალისტური ენისა, რომელიც თავისუფალია შეფასებებისგან. რეკომენდაციების მიხედვით, ჟურნალისტებმა უმჯობესია, „ტერორისტის“ შესატყვისები გამოიყენონ: გამტაცებელი, შეიარაღებული პირი, თავდამსხმელი და სხვ., აუდიტორიისთვის სიტყვა „ტერორისტი“ შესაძლო დაბრკოლება რომ არ გახდეს ინფორმაციის გაგებისას. ყველაფრის მიუხედავად, მედიის პასუხისმგებლობაა დარჩეს მიუკერძოებელი და ისეთი ხერხებით მიაწოდოს აუდიტორიას ინფორმაცია, რომ მაყურებლებმა თავად გააკეთონ დასკვნები მომხდარის შესახებ.

Canadian Media Journal of Communication - CJC უფრო მეტ პასუხისმგებლობას ანიჭებს მედიას და მიაჩნია, რომ მედიამ უნდა ითანამშრომლოს მთავრობასთან ტერორისტული აქტების დროს, მაშინ როცა ადამიანების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მაგრამ ეს არ გულისხმობს, რომ ცენზურას დაექვემდებაროს. მათი რეკომენდაციის მიხედვით, მედიამ თავი უნდა შეიკავოს მყვირალა და სენსაციური, პანიკის მაპროვოცირებელი სათაურებისგან, ასევე უნდა ერიდოს ძალადობრივი და სისხლიანი სცენების ამსახველი მასალების გამოქვეყნებას. ჟურნალისტი შემთხვევის ადგილზე გასაშუქებლადაა მისული და არა პროცესებში

მონაწილეობის მისაღებად, ამიტომ, მედიატორის როლი არ უნდა შეასრულოს. ამავდროულად, არ უნდა ჩაერთოს სახიფათო სპეკულაციების ტირაჟირებაში (მაგ., ტერორისტების შესაძლო გეგმები, მთავრობის შესაძლო პასუხი ტერორისტებს...). მედიამ არ უნდა დაუშვას პირდაპირი კომუნიკაცია მაყურებლებსა და ტერორისტებს შორის. აღნიშნული ორგანიზაცია იაზრებს სიმბიოზური ურთიერთობის პრობლემას და ეს რჩევებიც აქედან გამომდინარეობს.

Dart Center for Journalism and Trauma ყურადღებას ამახვილებს ტერორიზმის მსხვერპლისგან ინტერვიუს აღების ეთიკურ რეკომენდაციებზე და მიუთითებს, *რომ* პატივი სცენ მგლოვიარე ადამიანის პირად განცდებს, არ დაავალდებულონ იგი გაგიზიაროთ პირადი გრძნობები და განცდები. არასდროს უთხრან ტრაგედიის მსხვერპლს, რომ თქვენ ,,გესმით მათი", გარდა იმ შემთხვევებისა, თუ თქვენ თავად არ გაქვთ გადატანილი მსგავსი ტრაგედია (დედის, მამის ან უბრალოდ, ახლობელი ადამიანის ბუნებრივი სიკვდილით დაკარგვა იგივე არაა, რაც ტერორისტული აქტის დროს მეუღლის, მშობლის ან შვილის დაკარგვა).

საბოლოოდ, საერთაშორისო მედიის ნაწილმა გაიზიარა მოსაზრება იმ მკვლევრების, პროფესორების თუ ექსპერტებისა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ტერორისტების ქმედებების გაშუქება მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი. მედიასაშუალებები თავიანთ გადაწყვეტილებას იმ მოტივით ხსნიან, რომ მედიას არ სურს გახდეს მარიონეტი ტერორისტთა ხელში. მათი აზრით, ტერორისტთა აქტიური გაშუქებით, მედია მათ საკუთარი მიზნების მიღწევასა და ძლევამოსილების დემონსტრირებაში ეხმარება.

- **რეგულირების მექანიზმები საქართველოში**

რეგულაციები ტერორიზმის გაშუქებასთან დაკავშირებით, ქართულ რეალობაში არც თუ ისე მრავლად მოგვეპოვება. მიუხედავად იმისა, რომ საკითხი აქტუალურია და ტერორიზმის თემას ხშირად ვხვდებით მედიაში[ონლაინმედიაში], სტანდარტი ამ საკითხების გაშუქებისთვის 2015 წლის ნოემბრამდე არ არსებობდა. ნოემბერში, პარიზის ტერაქტის შემდეგ, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, მსოფლიოს წამყვანი

მედიასაშუალებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმძღვანელო წესების გათვალისწინებით, შეიმუშავა ზოგადი რეკომენდაციები ტერორიზმთან დაკავშირებული თემების გასაშუქებლად.

ქარტიამ გამოყო ის ოთხი ასპექტი, რომლებითაც ჟურნალისტმა უნდა იხელმძღვანელოს. ესენია: 1.ზოგადი რეკომენდაციები; 2.ტერმინოლოგია; 3.ვიზუალიზაცია; 4.ბალანსი.

ზოგადი რეკომენდაციების თავი შედგება 14 პუნქტისგან. ძირითადი აქცენტი კი კეთდება იმაზე, რომ ჟურნალისტმა არ უნდა მოახდინოს ტირაჟირება; დაიცვას სიზუსტე და გამოიჩინოს პასუხისმგებლობა, ყურადღება არ უნდა გაამახვილოს რელიგიურ მრწამსზე, რათა რელიგიური სტერეოტიპების გაღრმავებას არ შეუწყოს ხელი. აგრეთვე, დეტალებში არ უნდა აღწეროს ტერორისტული აქტი. ქარტია, რომელიც 137 ჟურნალისტმა 2009 წელს დააფუძნა, მედიასაშუალებების ყურადღებას ამახვილებს ტერმინოლოგიაზე და ურჩევს მათ, რომ შეფასებებისგან თავისუფალი ტერმინოლოგია გამოიყენონ, ინფორმაცია გაამარტივონ და გამოიყენონ უფრო კონკრეტული სიტყვები: „აფეთქება“, „სროლა“, „გამტაცებელი“, „შეიარაღებული პირი“.

ვიზუალიზაციის საკითხი განსაკუთრებით ემოციური და მნიშვნელოვანია. მედიისთვის ,,მიმზიდველია“ ტრაგედიის შემცველი ძალადობის კადრები, რადგან იგი უფრო მეტად იქცევს აუდიტორიის ყურადღებას. ამიტომ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია რეკომენდაციას უწევს, რომ კადრები უნდა გადაიცეს რედაქტირებული სახით, რათა თავიდან იქნას აცილებული მის მიერ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება. ამასთან, არ უნდა დაირღვეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ადამიანებისათვის დამატებითი ტკივილის მიყენება, განსაკუთრებით, მსხვერპლებისა და მათი ახლობლებისთვის.

როგორც ტერორიზმის, ასევე ნებისმიერი თემის გაშუქებისას ჟურნალისტიკაში ერთ-ერთი მთავარია ბალანსის საკითხი, ამიტომაც ქარტია ჟურნალისტებს მოუწოდებს, რომ დაიცვან ბალანსი:

- გამოხატვის თავისუფლებასა და ტერორიზმისთვის პლატფორმის დათმობას შორის;
- გრაფიკული კადრების გავრცელებასა და შესაბამის კონტექსტს შორის;
- პირად განწყობებსა და მიუკერძოებლობას შორის;
- ბაზრის მოთხოვნებსა და პროფესიულ პასუხისმგებლობას შორის;
- საზოგადოების წნეხს, რომელიც მოქმედებისკენ მოგიწოდებს და სამართლიანობას შორის, რომელიც ქმედების შეზღუდვას გკარნახობს, რათა ამბის მთლიანად გადმოცემა შეძლო;
- მოსაზრებების პლურალიზმის წარმოჩენასა და ტერორიზმის წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის დაცვას შორის.

გარდა სახელმძღვანელოს რეკომენდაციებისა, ჟურნალისტმა ტერორიზმის საკითხების გაშუქებისას უნდა გაითვალისწინოს ის პრინციპები, რომლებიც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ მიიღო.

გარდა ეთიკის ქარტიისა, აღსანიშნავია მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ტერორისტის, გამტაცებლის ან მძევლის განცხადება ან მასთან ინტერვიუ არ უნდა გადაიცეს მაუწყებლის სარედაქციო ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე. ინტერვიუს გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს ინფორმაციის გადაცემით მიღებული სარგებლისა და ზიანის შეფასება“(მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მუხლი N53.3).

ტერორიზმის გაშუქებასთან დაკავშირებით მაუწყებელთა ქცევის კოდექსი განსაზღვრავს, რომ გამტაცებლის ან მძევლის განცხადება ან ინტერვიუ არ უნდა გადაიცეს მაუწყებლის სარედაქციო ხელმძღვანელობის თანხმობის გარეშე. ინტერვიუს გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა მოხდეს ინფორმაციის გადაცემით მიღებული სარგებლისა და ზიანის შეფასება (მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, მუხლი 7).

საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში კი ვკითხულობთ, რომ: „ოპერატიულად მიაწოდეთ საზოგადოებას ზუსტი ინფორმაცია ტერორისტული აქტის და მისი შედეგების

შესახებ. თავი შეიკავეთ ემოციური და სუბიექტური შეფასებებისაგან. აუდიტორიას მიაწოდეთ ობიექტური ინფორმაცია, რათა მან თავად შეძლოს გარკვევა, ვინ არის დამნაშავე, რა დანაშაულს ჩადის და ვის წინააღმდეგ“.(მუხლი 8.4).

ტერორიზმის საკითხების გაშუქების სხვა რეგულაციებს ქართულ სინამდვილეში არ ვხვდებით.

§ 1.2. კვლევის მეთოდოლოგია

- **კონტენტ- ანალიზი**

კვლევის ჩასატარებლად შეირჩა კონტენტ-ანალიზის მეთოდი, რათა ფორმალიზებული პრინციპით შესწავლილიყო მედიის შინაარსი, ინფორმაცია და გამოვლენილიყო ონლაინმედიასა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის ინტერაქტიული ურთიერთობის პარამეტრები. კვლევის ერთ-ერთი მიზანი გაშუქების სიხშირის დათვლაა, ამასთან, შესასწავლია, რამდენად ხშირად გამოიყენებოდა კონკრეტული ტერმინები. დაითვალა არჩეულ ვებგვერდებზე განთავსებული მასალების რაოდენობა, რომელიც დამუშავდა კონტენტ-ანალიზის სხვადასხვა ტექნიკით.

კვლევისას გაანალიზებული და განსაზღვრულია ცალკეული მონაცემები, გაანალიზებულია შესაბამისი კონტექსტი, გამიკვეთილია ანალიზის საზღვრები და შეფასებულია საკვლევი საკითხი. ამ ამოცანების განსახორციელებლად გამოყენებულია კლიპინგი, მარტივი კონტენტ-ანალიზი, მესიჯების ანალიზი, მნიშვნელობის ანალიზი და გაშუქების ხარისხი.

- **სიღრმისეული ინტერვიუ**

მედიასა და ტერორიზმს შორის ინტერაქტიული დამოკიდებულების თვისებრივი ანალიზისათვის კვლევაში გამოყენებულია არასტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ.

სიღრმისეული ინტერვიუ თვისებრივი კვლევის ერთ–ერთ ფორმაა, რომელიც ფართოდ გამოიყენება. იგი სადისკუსიო გეგმის საფუძველზე წარიმართება და მიზნად ისახავს, შეიტყოს რესპონდენტის არა მხოლოდ დამოკიდებულება და პოზიცია, არამედ მოტივაციები.

კვლევაში არასტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენების მიზანია რესპონდენტებისაგან დეტალური, ღრმა და თანამიმდევრული ინფორმაციის მიღება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება გარკვეული კანონზომიერებების დადგენა, ზოგ შემთხვევაში კი - საერთო ხასიათის დასკვნების გაკეთება. სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით შესაძლებელი იქნება მედიასა და ტერორიზმს შორის სიმბიოზური დამოკიდებულების განსაზღვრა, ფოკუსირება და ნარატივების წარმოჩენა.

რესპოდენტებად შეირჩნენ როგორც მედიაექსპერტები, ასევე მკვლევრები და უსაფრთხოების საკითხების ანალიტიკოსები.

- **თეორიული ჩარჩო - ფრეიმინგი**

სოციალურ მეცნიერებებში კომუნიკაციის თეორიებს შორის ფრეიმინგის თეორია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად და ფართოდ გამოყენებული თეორიაა. ჯერჯერობით, ამ თეორიის ზუსტი დეფინიცია არ არსებობს, მკვლევრები სხვადასხვა განმარტებას გვთავაზობენ, მაგრამ ეს განსაზღვრებები შინაარსობრივად მსგავსია.

ენთმანი (Entman,1993; გვ.52) ფრეიმინგის განმარტებას მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებებით აღწერს: ფრეიმის გამოყენება გულისხმობს რეალობის აღქმის ასპექტების შერჩევას და მათ გამოკვეთას ტექსტის კომუნიკაციის პროცესში, რათა განისაზღვროს კონკრეტული პრობლემა, ინტერპრეტაცია, შეფასება. ასევე, შესაძლებელი იყოს რეკომენდაციის გაწევა კონკრეტული საკითხის შესახებ. ტექსტს შეუძლია ინფორმაციის ცალკეული ნაწილის უფრო გამოკვეთა და კულტურული თვალსაზრისით სიმბოლოებთან დაკავშირება. ენტმანი აღნიშნავს, რომ ფრეიმები შედგება ძირითადი სიტყვების, მეტაფორების, სიმბოლოების, კონცეფციებისა და ვიზუალური გამოსახულებების მეშვეობით. ამ ხერხებით ხდება გამოკვეთილად წარმოჩენა ახალი ამბების თხრობისას.

ენთმანის (Entman,1991) განმარტებით, ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჯდარი პრინციპები და მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები.

კვლევაში ფრეიმები დადგენილია პირველი დონის მიხედვით, რომლის მეშვეობითაც გამოვლინდება, თუ რაზე ამახვილებენ ჟურნალისტები და როგორ აწვდიან ინფორმაციას საზოგადოებას. რა შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება მათ მიერ გამოყენებულ ტერმინებს და რა როლს თამაშობს იგი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესში. მედიაფრეიმების დადგენა ტერორიზმსა და მედიას შორის ურთიერთსარგებლიანობის შესწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ფრეიმებს შეუძლია საზოგადოებაზე შეუმჩნეველი, მაგრამ მძლავრი ეფექტი მოახდინოს, დანერგოს შიში, პანიკა და განაპირობოს სხვადასხვა საკითხის სტიგმატიზაცია.

მაგალითისათვის, შოიფელემ და თეუკსბერიმ (Dietram A. Scheufele, David Tewksbury, 2007) 11 სექტემბრის ტერაქტის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ამ ტერაქტის გაშუქების შედეგად შეიქმნა ომის კრიმინალის ფრეიმი, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე და საზოგადოებამაც მხარი დაუჭირა აშშ-ის ჯარების ომში ჩართვას.

ამ ინფორმაციის გაცნობისა და დამუშავების შედეგად ჩნდება ლეგიტიმური კითხვები: როგორ წარმოაჩენდა ქართული ონლაინმედია ტერორიზმთან დაკავშირებულ თემებს, რა კუთხით აშუქებდა, უწყობდა თუ არა სტიგმატიზაციას ხელს, შედიოდა თუ არა არამიზნობრივ სიმბიოზურ კავშირში ტერორიზმთან. ამ კითხვებზე პასუხი გაეცეა ქართულ ონლაინმედიაზე დაკვირვების შედეგად.

§ 1.3. კვლევის დიზაინი

(მიზანი, კითხვები, ჰიპოთეზები, შერჩევა)

ზემოთ აღნიშნული მასალის განხილვის შემდეგ ჩამოყალიბდა კვლევის მიზანიც: მედიასა და ტერორიზმს შორის არამიზნობრივი, არა წინასწარ განსაზღვრული, მაგრამ სიმბიოზური კავშირის იდენტიფიცირება.

- **საკვლევი კითხვები**

RQ1 : სათანადო ყურადღებას უთმობს თუ არა ქართული ონლაინმედია ტერორიზმის პრობლემას ?

RQ2: რამდენად სიღრმისეულად აშუქებს ონლაინმედია ტერორისტულ აქტებს და ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს ?

RQ3: რამდენად ეთიკურად აშუქებს ქართული ონლაინმედია ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს ?

RQ4 : არსებობს თუ არა ქართულ ონლაინმედიასა და ტერორიზმს შორის სიმბიოზური კავშირი ?

- **კვლევის ჰიპოთეზა**

H1 : ქართული ონლაინმედია ტერორიზმის პრობლემას სათანადო ყურადღებას არ უთმობს

H2 : ქართული ონლაინ მედია სიღრმისეულად არ აშუქებს ტერორისტულ აქტებს და ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს

H3 : ქართული ონლაინმედია ეთიკურად არ აშუქებს ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს

H4 : ქართულ ონლაინ მედიასა და ტერორიზმს შორის არსებობს სიმბიოზური კავშირი

- **შერჩევა**

კონტენტ-ანალიზის ჩასატარებლად შეირჩა ორი ონლაინგამოცემა : ON.ge და netgazeti.ge. აღნიშნული გამოცემების შევარჩიეთ შემდეგი კრიტერიუმებით: ეთიკურობა, სანდოობა და

რეიტინგულობა. კვლევის დაწყების პერიოდში (2018 წლის მარტი), საქართველოში ონლაინმედიის ერთადერთი რეიტინგის მთვლელი Top.ge-ის მიხედვით, On.ge საინფორმაციო-ანალიტიკურ პორტალებს შორის მე-3 ადგილს იკავებს. რაც შეეხება netgazeti.ge-ს, მათმა რეპორტიორებმა მაღალი პროფესიონალური სტანდარტებით მომზადებული მასალებისთვის არაერთი ჯილდო მიიღეს. ამ მედიასაშუალებებს მაღალ ნდობას უცხადებენ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებიც.

სიღრმისეული ინტერვიუს ჩასატარებლად შეირჩნენ მედიის, უსაფრთხოებისა და კონფლიქტის ექსპერტები: მედიაანალიტიკოსი ირაკლი ტაბლიაშვილი, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ნატა ძველიშვილი, კონფლიქტოლოგი ზაზა ცოტნიაშვილი, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში ამირან სალუქვაძე, არა სამთავრობო ორგანიზაციის საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრის(GCSD) დირექტორის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში - რევაზ ქოიავა, არსამთავრობო ორგანიზაციის მედიისა და განვითარების ფონდის(MDF) მკვლევარი სოფო გელავა.

ყველა შეკითხვა ღია ტიპის იყო, რათა რესპოდენტებს საკუთარი მოსაზრების შეუზღუდავად გამოხატვის საშუალება ჰქონდათ. ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუ მოიცავდა კითხვებს შემდეგ საკითხებზე:

- ✓ რა როლს თამაშობს ონლაინმედია (მთლიანად მედია) ტერორიზმთან მიმართებით;
- ✓ უნდა ებრძოლოს თუ არა მედია ტერორიზმს და რა საშუალებები გააჩნია მის წინააღმდეგ საბრძოლველად;
- ✓ რამდენად არის მედია სიმბიოზურ დამოკიდებულებაში ტერორიზმთან;
- ✓ რა ეთიკური დილემის წინაშე აღმოჩნდება ჟურნალისტი ტერორიზმის გაშუქებისას;
- ✓ ასევე, ნაშრომისთვის საინტერესო იქნებოდა მათი რეკომენდაციებიც.

თავი 2. კვლევის შედეგები

ნაშრომის მთავარ მიზანს მედიასა და ტერორიზმს შორის არამიზნობრივი, არა წინასწარ განსაზღვრული, მაგრამ სიმბიოზური კავშირის იდენტიფიცირება ოთხი მიმართულებით განხორციელდა - ზოგადი რაოდენობრივი ანალიზი, ეთიკური და პროფესიული გაშუქება, კლიპინგი და მედიის ფრეიმები, რომლის შემდეგაც გამოვლინდა სიმბიოზური კავშირი მედიასა და ტერორიზმს შორის.

§ 2.1.ზოგადი რაოდენობრივი ანალიზი

საკვლევ პერიოდში დაკვირვება განხორციელდა ორ ონლაინმედიაზე. 2017 წელს ტერორიზმთან დაკავშირებით ორ ვებგვერდზე, on.ge-სა და netgazeti.ge-ზე ჯამში განთავსდა 118 სიახლე, რომელთაგანაც ანალიტიკური იყო სამი მასალა. ბუნებრივია, რომ მსგავსი მასშტაბის მქონე პრობლემაზე ასეთი ცოტა მასალის გამოქვეყნება, უკვე ტენდენციაზე მიანიშნებს. თან მათში არ არის ანალიტიკური მსჯელობა, რომლის საშუალებასაც იძლევა ონლაინპლატფორმა. ონლაინმედიის უპირატესობა გამოყენებული არ არის და მულტიმედიური მასალები საკმაოდ მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. მულტიმედიური მასალებით ვებგვერდს შესაძლებლობა აქვს იოლად და გასაგებად ახსნას პრობლემის არსი, მოკლედ მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია და ამასთან ინტერესიც გაუღვივოს. დღესდღეობით კი ადამიანებს ნაკლებად აქვთ ინფორმაცია ამ პრობლემის არსის შესახებ, რაც მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციების სასარგებლოდ მეტყველებს. ტერორისტულ ჯგუფებს უადვილდებათ ადამიანებზე ზემოქმედება და საკუთარი მიზნების შესასრულებლად თავიანთ რიგებში მათი გაწევრიანება. რა თქმა უნდა, მედიის ერთადერთი და მთავარი თემა არ უნდა იყოს ტერორიზმი, რათა შიში ზედმეტად არ გავრცელდეს და მოსახლეობა პანიკამ არ მოიცვას, მაგრამ ამ მიზნით ნამდვილად არ ხდება ამ თემის თითქმის უგულებელყოფა ქართული ონლაინმედიის მხრიდან, რადგან ამ შემთხვევაში დაცული იქნებოდა ის პროფესიონალური და ეთიკური წესები, რომლებიც უკვე მიმოვიხილეთ. ასეთი ტიპის დარღვევები გამოვლენილი იქნება ამ თავის შემდეგ ნაწილში.

On.ge-მ ტერორიზმის საკითხებს ჯამში 71 სიახლე, ხოლო ,,ნეტგაზეთმა“ 47 სიახლე გამოქვეყნა. On.ge-მ უფრო მეტი ყურადღება დაუთმო ტერორიზმის საკითხებს, ვიდრე „ნეტგაზეთმა“. შესწავლილი მასალების 60,17% On.ge-მ გამოქვეყნა, ხოლო netgazeti.ge-მა 39,87%. აქედან უმთავრესი წილი აქვს ისნის სპეცოპერაციას, რომელიც ლოკაციიდან გამომდინარე, ყურადღების ცენტრში მოექცა. სწორედ ამ თემის გამოხმაურება იყო 2 ანალიტიკური სტატია, ხოლო ერთი ISIS-თან რუსეთის მიერ სომხეთის „იძულებით ჩართვას“ ეხებოდა. ON.ge ტერორიზმის შესახებ გაშუქებული მასალების 15%-ს ისნის ანტიტერორისტულ სპეცოპერაციას უთმობს, ხოლო netgazeti.ge 24%-ს. ორივე მედიამ თითქმის თანაბარი რაოდენობის სიახლეები გამოქვეყნა : On.ge-მ 13 მასალა, ხოლო netgazeti.ge-მ 14 მასალა, მაგრამ მასალების პროცენტული წილი მეტია „ნეტგაზეთის“ შემთხვევაში. ვინაიდან ეს სპეცოპერაცია ნოემბრის თვეში ჩატარდა, თვეების მიხედვით ტერორიზმის შესახებ ყველაზე ხშირად ნოემბერში იწერებოდა. ყველაზე პასიური თვე ამ მხრივ აღმოჩნდა თებერვალი, როდესაც ორივე ონლაინმედიამ ჯამში მხოლოდ 2 სიახლე გამოაქვეყნა. Netgazeti.ge აგვისტოსა და სექტემბრის თვეში არცერთ ამბავს არ აქვეყნებს, ოდნავ უკეთესი მაჩვენებელი აქვს ON.ge-ს.



დიაგრამა № 2. 1



დიაგრამა №2.2



დიაგრამა № 2.3.



დიაგრამა № 2.4

მონაცემების მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ On.ge უფრო მეტად აშუქებს ტერორიზმის თემას, ვიდრე netgazeti.ge, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება საერთაშორისო ტერორიზმს, ხოლო როდესაც საქართველოში ჩატარდა კონტრტერორისტული სპეცოპერაცია, ორივე ონლაინპლატფორმამ თითქმის თანაბარი რაოდენობის მასალა გამოაქვეყნა და იგი ორივე ვებგვერდისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი თემა იყო.

ცხრილი № 2.1.

თარიღი	**დაღუპული**	**დაშავებული**	**ადგილი**	**ON.ge**	**Netgazeti.ge**
8 მარტი	100+	63 +	ქაბული, ავღანეთი	X	X
11 მარტი	114	150	დამასკო, სირია	X	X
15 აპრილი	126 +	55+	ალეპო, სირია	✓	✓

21 აპრილი	140-256	160 +	ბალხი, ავღანეთი	X	X
20 მაისი	141+	100+	ვადი-ეშ-შატი, ლიბია	X	X
31 მაისი	150+	413+	ქაბული, ავღანეთი	✓	X
14 ოქტომბერი	655	303	მოგადიშუ, სომალი	✓	X
4 ნოემბერი	100+	140+	*დეირ-ელ-ზორი, სირია*	X	X
24 ნოემბერი	311	122 +	ბირ ალ აბედი, ეგვიპტე	X	✓

ცხრილ 2.1-ში ასახულია ის ტერაქტები, რომლებსაც ყველაზე დიდი მსხვერპლი მოჰყვა, მაგრამ ბევრი მათგანი ამ ონლაინგამოცემებმა არ გააშუქეს, ხოლო, რომლებიც გაშუქდა 1-2 სიახლით შემოიფარგლა. ბუნებრივია, როდესაც ამდენი დაღუპული და დაშავებულია, მედიამ უნდა გააშუქოს და მიაწოდოს საზოგადოებას ინფორმაცია, თუმცაღა, ეს მოვლენები მათთვის მნიშვნელოვანი არ აღმოჩნდა. ეს განპირობებულია ლოკაციით, რადგან ტერაქტებს გაცილებით ნაკლები მსხვერპლი მოჰყვა ლონდონში, სტამბულში და ა.შ., მაგრამ ქართულმა(და არა მხოლოდ ქართულმა) გამოცემებმა აქტიურად გააშუქეს, ხოლო თითქმის უინტერესო აღმოჩნდა აზიასა თუ აფრიკაში მომხდარი ტერაქტები.

ტერორიზმის თემისთვის მსგავსი არაპროპორციული და ცოტა დროის დათმობა, ტერორისტული ორგანიზაციებისთვის ერთი მხრივ თითქოს ცუდი უნდა იყოს, რადგან მათ ვერ დათესეს შიში და ვერ იმოქმედეს ადამიანების ფსიქიკაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე; ქართულ საზოგადოებას არ აქვს სრული ინფორმაცია, რამდენად დიდი პრობლემაა ქვეყნისა და მსოფლიოსთვის ტერორიზმი, რამდენად საშიშია ეს გლობალური სამყაროსათვის. თან იმ პირობებში, როცა ტერორისტული ორგანიზაციები მუშაობენ სხვადასხვა სეგმენტზე, რათა უფრო მეტი

ადამიანები გადაიბირონ და ამ ადამიანებს, შესაძლოა, იმის შესახებ, თუ სად მიდიან და ვის მხარეს არიან, ინფორმაცია არც კი ჰქონდეთ.

ზოგადი რაოდენობრივი ანალიზიდან დადასტურდა პირველი ჰიპოთეზა, რომელიც გულისხმობდა, რომ ქართული ონლაინგამოცემები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ამ თემას, არ აწვდიან მომხმარებელს შესაბამის ინფორმაციას ამ პრობლემის არსის შესახებ. ამის დასტურია გაშუქებული მასალების რაოდენობა და ყველაზე მრავალმსხვერპლიანი ტერაქტების გაუშუქებლობა.

2.2. მედიაგზავნილების ანალიზი

ტერორისტული აქტების სიმძაფრისა და უკვე სიხშირიდან გამომდინარე, ამ საკითხის გაშუქება მედიის ქვაკუთხედია. მთელ მსოფლიოში თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი ჟურნალისტები, ასევე სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები მას ცალკე განსახილველ თემად მიიჩნევენ. დიდი ინტერესით შუქდება ის ფაქტები, რომლებიც მეტ მსხვერპლზე მეტყველებს. ამასთან მედიისათვის განსაკუთრებით ყურადსაღებია, რომ უფრო განვითარებულ და მძლავრ სახელმწიფოში მოხდეს ტერაქტი. სხვა შემთხვევაში მედია ნაკლებად აშუქებს, არადა, უკვე თითქმის ყოველ კვირაში ხდება მსგავსი აქტები. რაც უფრო მძაფრია ამბავი, მით უფრო აინტერესებს მედიას, მაგრამ არ აინტერესებს ამ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები.

ტერორისტული აქტების გაშუქებისას მნიშვნელოვანია დაცული იყოს ეთიკური საკითხები თუ პროფესიონალური სტანდარტები, რადგან ამით სარგებელი არ მიიღონ ტერორისტულმა ორგანიზაციებმა. On.ge-ზე და Netgazeti.ge-ზე გამოქვეყნებული მასალები გაანალიზდა სხვადასხვა კრიტერიუმით. ამან შესაძლებლობა მოგვცა, დაგვედგინა, თუ როგორ ეხმარება მედია ტერორიზმს და რა ურთიერთსარგებლიანობაა მათ შორის.

<u>დაკვირვების კრიტერიუმები :</u>

- იყენებს თუ არა ჟურნალისტი სიძულვილის ენას; ვხვდებით თუ არა დისკრიმინაციულ ტერმინებს ?
- შინაარსობრივად, რამდენად მართებულად იყენებს ჟურნალისტი ტერმინებს ?
- ჟურნალისტის მიერ თემა/საკითხი ღრმად არის მოკვლეული თუ მხოლოდ ზედაპირული ინფორმაციით შემოიფარგლება.
- ჟურნალისტის რა დამოკიდებულება იგრძნობა მასალში რომელიმე მხარის მიმართ ?
- უწყობს თუ არა ხელს ჟურნალისტი რელიგიური კონფლიქტის გაღვივებას ?
- არის თუ არა დაცული ბალანსი პირად განწყობებსა და მიუკერძოებლობას შორის ?
- ირღვევა თუ არა ჟურნალისტურ მასალაში პროფესიული და ეთიკური სტანდარტები?

On.ge-სა და netgazeti.ge-ის მიერ გამოქვეყნებული მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა საკმაოდ ბევრი მაგალითი იმისა, თუ რამდენად არაეთიკურად და არაპროფესიონალურად აშუქებს მედია ტერორიზმთან დაკავშირებულ თემებს. კვლევაში განხილული იქნება რამდენიმე მაგალითი, რომელიც ნათლად ასახავს იმ პრობლემებს, რაც ამ თემის შესწავლისას გამოიკვეთა.

On.ge-მ მოამზადა ნიუსი(http://go.on.ge/7qa), რომელიც იუწყებოდა ბაღდადის გადატვირთულ მოედანზე თვითმკვლელი ტერორისტის მიერ მანქანის აფეთქების შესახებ. აღნიშნულ მასალაში მოყვანილია AP-ის მიერ გავრცელებული თვითმხილველის კომენტარი: „მუშები მისი მანქანის გარშემო მოგროვდნენ და ამის შემდეგ დიდი აფეთქება მოხდა, ადამიანები ჰაერში აფრინდნენ“. შეცდომას უშვებს AP, როდესაც ასეთ კომენტარს ავრცელებს, მაგრამ მისი ასე გადმოტანა On.ge-ის შეცდომაც არის, რადგან ამით ის ხელს უწყობს ტერორისტთა მიზანს, მეტი სიმძაფრით გაშუქდეს მათი ქმედება და შიში დაინერგოს საზოგადოებაში. ახალ ამბავში უკვე ნათქვამია, რომ 35 ადამიანი მაინცაა დაღუპული და არ იყო აუცილებელი თვითმხილველის მონაყოლის ასეთი ფორმით გადმოცემა, ეს არ ცვლის სიტუაციას და ამბის ნატურალისტურად ასახვა, უკვე აღარაა საჭირო. იმავე პრობლემას ვხვდებით 4 ივნისს გამოქვეყნებულ მასალაში(http://go.on.ge/d8l): რამდენიმე ადამიანს ყელი ჰქონდა გამოჭრილი და დახმარებას ითხოვდნენ, ხოლო

რამდენიმე ადამიანი უგონოდ იმყოფებოდა და სხეულზე ჭრილობების კვალი ეტყობოდა. ბუნებრივია, ასეთი დეტალური აღწერა არ არის მიზანშეწონილი.

ეს პრობლემა ახასიათებს Netgazeti.ge-ის მიერ 22 მარტს გამოქვეყნებულ, ლონდონში მომხდარი თავდასხმის ამსახველ ნიუსს(https://bit.ly/2KWXQhe), რომელშიც აღნიშნულია: „თავდამსხმელმა, რომლის ვინაობაც ჯერჯერობით დაუდგენელია, რამდენიმე ფეხით მოსიარულეს ვესთმინსტერის ხიდზე ავტომობილით გადაუარა, შემდეგ კი პარლამენტის შენობასთან პოლიციელი დაჭრა და ცეცხლი გახსნა“. ავტორიტეტული გამოცემებისა და კავშირების რეკომენდაციაა, რომ არ შეიძლება მომხდარი დანაშაულის ასე ზედმიწევნით აღწერა, რათა მედია ადამიანებში შიშის დანერგვის ხელშემწყობი არ გახდეს, - „ადამიანებზე გადავლის“ გარეშეც შეიძლება ინფორმაციის გავრცელება. ამ ხარვეზს Netgazeti.ge მეორე დღესაც(23 მარტს) იმეორებს და კვლავ იმავე ტექსტით(https://bit.ly/2KWXQhe) იუწყება, რომ დაშავებულთა რიცხვი გაიზარდა. ბუნებრივია, ორმაგად უარყოფითია, როდესაც არათუ სწორდება ინფორმაცია, არამედ მეორდება კიდეც.

On.ge-ის ნიუსს(http://go.on.ge/8lr) კანადის ქალაქ კვებეკში მომხდარი ტერაქტის შესახებ ახლავს ფოტო, რომელზეც ჩანს ადამიანი სანთლით ხელში. ფოტოთი ასეთი მინიშნება, თემის ზედმეტი სენსიტირებაა, რაც აღვივებს სტერეოტიპებს და რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირებების რისკებს.

Netgazeti.ge ლონდონის ტერაქტის შესახებ ავრცელებს ნიუსს (https://bit.ly/2wyoPMU), რომელშიც იყენებს სიტყვა - „ტერორისტს“. სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ეთიკის ქარტიები და ავტორიტეტული გამოცემები გასცემენ რეკომენდაციას, რომ ოფიციალურ კვალიფიკაციამდე მოერიდონ ამ სიტყვას და მის სანაცვლოდ გამოიყენონ „თავდამსხმელი“, „მსროლელი“ და ა.შ, მაგრამ მედიაარხებზე „ტერორისტის“ შესატყვისები საკმაოდ იშვიათად გვხვდება.

On.ge-მ მოამზადა მასალა „ტერორისტული თავდასხმა ლონდონზე - რა ვიცით ამ დროსთვის“ (http://go.on.ge/aq5), რომელსაც თან აქვს დაშავებულზე დამხობილი ადამიანის ფოტო. მსგავსი შინაარსის ფოტოები ხელს უწყობს ტერორისტული დაჯგუფებების მიზანს,

დათესოს საზოგადოებაში შიში და უიმედობა. გარდა იმისა, რომ მსგავსი ტიპის ფოტოების აღქმა ადამიანთა ფსიქოლოგიისთვის არ არის კარგი, ამასთან თითქოს ჩანს, რომ მათ არავინ ეხმარება და მიტოვებულები არიან, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე საზოგადოებისგან.

ON.ge Fox news-ზე დაყრდნობით იუწყება, რომ პარიზის ტერაქტზე პასუხისმგებლობა ISIS-მა აიღო (http://go.on.ge/bqr). მასალას თან ახლავს ორი ხელებაწეული ადამიანის ფოტო. ასეთი შეტყობინებებით, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ ტერორისტული ორგანიზაციები სარგებლობენ. ამ ამბავში აღნიშნულია, რომ პარიზის პოლიცია თავდამსხმელის ვინაობას არ ასაჯაროებს, მაგრამ ტერორისტული ორგანიზაცია აცხადებს, რომ ის ბელგიდაან ჩასული აზუ იუზევ ალ-ბალჯიკია, ISIS-ის მებრძოლი. მედია არ უნდა დაეყრდნოს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ გაცხადებულ ინფორმაციას. ინტერნეტში ისედაც ავრცელებენ თავიანთ შეტყობინებებს ტერორისტული ჯგუფები, მაგრამ მედია მისი უფრო ფართოდ ტირაჟირებით არ უნდა დაკავდეს, განსაკთრებით კი ონლაინმედია, რომელიც თავიანთი ვებგვერდების გარდა, სოციალურ ქსელებშიც ავრცელებს ინფორმაციას (ეს მათი ბიზნესის ნაწილია), ხოლო ასეთ დროს, თითქმის შეუძლებელია, დროის რომელიმე მონაკვეთში არ გადაიკვეთოს მათ მიერ გავრცელებული ინფორმაცია ბევრ მომხმარებელთან, თუმცაღა, ახალი მედიის ბიზნესინტერესიც ამას ემსახურება. გარდა იმისა, რომ მათი ინფორმაცია არ არის სანდო, ამავდროულად, ის შეიცავს კონკრეტულ მესიჯებს. ამ შემთხვევაში შესაძლოა, აღნიშნული პირი არ აღმოჩენილიყო დამნაშავე, რომელიც საზოგადოებას სერიოზულ ზიანს მიაყენებდა და შემდეგ კი ვეღარ მოახერხებდა ინტეგრაციას. ამასთან ეს მიზანშეუწონელია იმ კუთხითაც, რომ ტერორისტულ დაჯგუფებას ანიჭებს თითქოს ოფიციალურ სტატუსს და უფრო ფიგურალურს ხდის. მსგავსი ხარვეზი დაფიქსირდა 6 აპრილს გავრცელებულ ნიუსში, რომელშიც აღნიშნულია: „ტერორისტულმა დაჯგუფებამ ISIS-მა გამოაქვეყნა ახალი აუდიომიმართვა, რომელშიც ტრამპს იდიოტს უწოდებს“ (http://go.on.ge/b7h). ეს აუდიომიმართვა ბევრმა უცხოურმა და ავტორიტეტულმა მედიებმაც გაავრცელეს, მათ შორის CNN-მაც, რაც ასევე შეცდომაა. მედიამ არ უნდა გამოაქვეყნოს ტერორისტული დაჯგუფებების მესიჯები, რათა არ შეასრულოს ტერორისტთა მიზნები,

რომლის საშუალებითაც მათი განცხადებები იღებს ოფიციალურ სახეს. მართალია, ქართული გამოცემა CNN-ის ინფორმაციას იყენებს, თუმცა, CNN-ი ავრცელებს ამ მიმართვას ტრამპის საწინააღმდეგოდ, ვინაიდან მას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს პრეზიდენტის მიმართ. თუმცაღა, ეს ამ მედიაარხისათვის თავის გასამართლებლად ვერ გამოდგება.

აღნიშნული ხარვეზი გვხვდება Netgazeti.ge-ის მასალაში (https://bit.ly/2KicApO): „ISIS-ის განცხადებით, პარიზში თავდასხმა მათმა მებრძოლმა მოაწყო“. არ შეიძლება მსგავსი სათაურების გამოქვეყნება, რადგან ამით ტერორისტულ ორგანიზაციებს ოფიციალურობა ენიჭებათ. მით უმეტეს, არ შეიძლება სიტყვა „განცხადების“ გამოყენება, ვითომდა, ავტორიტეტული ლიდერი სახელმწიფოს „განცხადება“ იყოს.

Netgazeti.ge 23 მაისის ნიუსში(https://bit.ly/2KX8WTz) იუწყება: ,,ISIS აცხადებს, რომ მანჩესტერში აფეთქება მათ მოაწყვეს... განცხადება ამის შესახებ ISIS-მა თავის საინფორმაციო სააგენტოს, „ამქის“ ვებგვერდზე გამოაქვეყნა“. ეს ინფორმაცია არ უნდა გაავრცელონ ამ ფორმით, რადგან ამით მეტ სტატუს ანიჭებენ ისლამურ სახელმწიფოს და მათ ლიდერებს ოფიციალურ პირებად წარადგენენ, ამასთან, არ არის აუცილებელი მათი სააგენტოს დასახელებაც კი, რადგან შესაძლოა, ადამიანებმა მოინდომონ მათ ვებგვერდზე შესვლა და მოექცნენ მათი ინტერესთა სფეროში. მართალია ეს ინფორმაცია ქართულმა ონლაინმედიამ უცხოურზე, კერძოდ, TELEGRAPH-ზე დაყრდნობით გაავრცელა, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. საზღვარგარეთულ და ავტორიტეტულ გამოცემებსაც აქვთ მსგავსი ტიპის შეცდომები და სწორედ ამას საყვედურობენ მედიას ასევე ავტორიტეტული მკვლევრები.

ON.ge-ის მასალაში - ბარსელონას ტერაქტი (http://go.on.ge/fsb) ქვეყნდებოდა განახლებადი ინფორმაცია. ერთ-ერთ განახლებაში ვკითხულობთ: „ტერაქტში ბრალდებული პირი ოჯახში ძალადობის გამო წარსულში ნასამართლევი იყო. მან ციხე 2012 წელს დატოვა“. მასალას ახლავს ფოტო, საიდანაც ჩანს, რომ შეშინებული ოჯახი გარბის. არ შეიძლება ამ დანაშაულში ბრალდებულზე წინა დანაშაულები გააშუქო, რადგან ამით შესაძლოა ბევრ ადამიანს შეექმნას საფრთხე. წარსულში ნასამართლევი ბევრი ადამიანია გამოსწორებული,

რომელთა მიმართაც უარყოფითი ემოციები გაჩნდება და გაჭირდება ინტეგრაცია. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ისედაც რთულია ცხოვრების რიტმში ჩადგომა. ამას ემატება დაზაფრული ოჯახის ფოტო, რომელიც მხოლოდ დამატებით შიშს ქმნის და მეტს არაფერს. საბოლოოდ კი, სრულდება ტერორისტთა მიზანი, საზოგადოებაში შიში დაინერგოს და ადამიანები ყველასა და ყველაფერში საფრთხეს ხედავდნენ.

Netgazeti.ge-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში (https://bit.ly/2IC94cB) „რუსეთი სომხეთს ISIS-თან ბრძოლას აიძულებს“, ზედმეტად დიდი ყურადღება მახვილდება რელიგიურ საკითხზე: „21 წლის ჯარისკაცის მკვლელობაში ბრალდებული მუსლიმი იყო. მისი დაკითხვის შედეგად, ოფიციალური ცნობის მიხედვით, მკვლელობაში ბრალდებული თან ატარებდა ყურანს“. ადამიანის სიკვდილში ეჭვმიტანილზე არ შეიძლება ვისაუბროთ რელიგიურ კონტექსტში, მით უმეტეს, ასეთ ვითარებაში, თან მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიო შეთანხმებულია, რომ ტერორიზმს რელიგია არ გააჩნია. შესაძლოა, იგი რელიგიას იყენებდეს და ამით თავის მიზნებს აღწევდეს, მაგრამ ეს არ შეიძლება იყოს ამოსავალი წერტილი. ამ სტატიაში გაცხადებულმა პოზიციამ კი შესაძლოა წარმოშვას რელიგიური დაძაბულობა, რაც ტერორისტებისათვის სასარგებლო იქნება. ამასთან სათაურის შინაარსზეც შეიძლება კამათი, რადგან ასევე მთელი მსოფლიო თანხმდება, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ გაერთიანებაა საჭირო, ხოლო სათაურში ბრძოლის იძულებაზეა საუბარი. ასეთმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს ტერორისტულ დაჯგუფებებს, რათა უფრო მეტი ადამიანი გადაიბირონ.

On.ge-მ ისლამური სახელმწიფოს მხარეს მყოფი მუჰმად ბაღაკაშვილის გარდაცვალების შესახებ მოამზადა ვრცელი ნიუსი, სადაც გარდა მისი გარდაცვალებისა, ჩამოთვლილია იმ ადამიანთა სია, რომლებიც სირია-ერაყში 2012-2017 წლებში დაიღუპნენ. პირველი არასწორი ქმედება არის სათაურშივე: „ISIS: დუისელი მუჰმად ბაღაკაშვილი, 27-ე მსხვერპლი“. მედიაარხმა პირდაპირ გადმოიტანა ისლამური სახელმწიფოს მიერ გავრცელებული ახალი ამბავი და თან ისე აღნიშნა, რომ ISIS მართლაც სახელმწიფო იყოს და არა ტერორისტული ორგანიზაცია. ეს მხოლოდ ტერორისტებისთვის არის ხელსაყრელი, რადგან მათ მეტ ოფიციალურობას ანიჭებს. ამასთან, რამდენად არის მუჰმად ბაღაკაშვილი მსხვერპლი,

რომელსაც ასე კი უწოდებს ისლამური სახელმწიფო, მაგრამ ეს მხოლოდ მათი შეფასებაა. საზოგადოებისთვის ასეთი შეფასების პირდაპირ მიწოდებამ შესაძლოა ტერორისტული ჯგუფებისა თუ მათი მებრძოლების მიმართ დადებითი ემოციები შექმნას და ისედაც მგრძნობიარე თემა კიდევ უფრო ემოციური გახადოს. მასალის ბოლოს ჩამოთლილია იმ ადამიანთა სახელი და გვარები, რომლებიც სირიასა და ერაყში 2012-2017 წელს დაიხოცნენ, რაც ნიუსის მთლიან კონტექსტში კიდევ უფრო ამძაფრებს და სენსიტიურს ხდის საქართველოს მოქალაქეებისთვის ინფორმაციას. თავის მხრივ ამით სარგებლობს ონლაინმედიაც, რადგან ასეთი სახით მიწოდებულ ინფორმაციას გაცილებით მეტი მომხმარებელი ჰყავს, ვიდრე ამ ამბის შესახებ მშრალად მოთხრობილ ინფორმაციას ეყოლებოდა.

არაეთიკური და არაპროფესიონალური გაშუქების გარდა, ვხვდებით საკმაოდ კარგად დაწერილ მასალებსაც. მაგ. Netgazeti.ge თურქულ მედიაზე დაყრნობით იუწყება, რომ ტერაქტში ბრალდებულის სახლში 150 ათასი დოლარი იპოვა(https://bit.ly/2KfJNCw). აღნიშნულ ნიუსში ქართულ ონლაინმედიას თურქული მედიისგან განსხვავებით, არ გაუვრცელებია ბრალდებულის ფოტო და შესაბამისად, არ დაურღვევია უდანაშაულობის პრეზუმცია, ამასთან, ბრალის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, კონკრეტულ პირს საზოგადოებაში საკმაოდ დიდი პრობლემები შეექმნებოდა.

ON.ge-ის გამოქვეყნებულ ნიუსში (http://go.on.ge/ctw) „მანჩესტერში აფეთქებასთან კავშირის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს“, არ ვხვდებით არცერთ მანამდე აღნიშნულ დარღვევას. იგივე ეხება ამავე თემაზე მომზადებულ მეორე მასალასაც (http://go.on.ge/cu1). ორივე შემთხვევაში დაცულია პროფესიული და ეთიკური სტანდარტები.

ამგვარად, შესწავლილი 118 მასალიდან არაეთიკური და არაპროფესიონალური გაშუქება გამოვლინდა 53 მასალაში(44,9%). აქედან ON.ge-ის მიერ გამოქვეყნებული 71-დან 32 მასალაში, რაც 45,1%-ია, ხოლო netgazeti.ge-ის 47-დან 21 ამბავში, რაც 44,7% არის.



დიაგრამა № 2. 5



დიაგრამა № 2.6

ემპირიული მაგალითების და მესიჯების ანალიზიდან დადასტურდა მეორე ჰიპოთეზა, რომ ამ თემის გაშუქებისას არსებობს ეთიკური პრობლემები. კონკრეტულ შემთხვევაში,

შეიძლება ითქვას, რომ პრობლემები ორივე ონლაინგამოცემისათვის (და არა მარტო ამ არხებისათვის) საერთოა: უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, რელიგიური ნიშნით კონფლიქტის გაღვივების რისკი, თემის სენსიტირება, ფოტოს გამოყენება არამართებული შინაარსით, რომელიც ასეთვე არამართებულ შეხედულებებს წარმოქმნის ადამიანის ფსიქოლოგიაში - საბოლოოდ, ეს არაეთიკური და არაპროფესიონალური გაშუქება წარმოადგენს დიდ პრობლემას ტერორიზმის საკითხების წარმოჩენისას, რადგან ამ შეცდომების შესახებ კარგად იციან ტერორისტულმა ორგანიზაციებმაც და თავიანთ მიზნებს სასურველად უკავშირებენ. მსგავსი ფაქტი უკვე ინტერაქტიულ ურთიერთობაში ამყოფებს მედიას ტერორიზმთან. ეს ერთ-ერთი ის პარამეტრია, რომლის გამოც მედიასა და ტერორიზმს შორის არა წინასწარგანზრახული, მაგრამ სიმბიოზური კავშირი არის. მედიამ გააშუქა თემა სენსიტიურად და სენსაციურად, რომელმაც გაზარდა მომხმარებელთა რაოდენობა, რაც ისახება მათ შემოსავალში, ხოლო ტერორისტულმა ორგანიზაციებმა მიაღწიეს თავიანთ მიზნებს.

2. 3. ძირითადი ფრეიმები

კონტენტ-ანალიზით დადგინდა საკვანძო სიტყვების გამოყენების სიხშირე, რათა დადასტურებულიყო ფრეიმინგის თეორია.

ცხრილი №2.2.

კოდირების სიტყვები	**On.ge**	**Netgazeti.ge**	**სულ**
თავდასხმა	38	29	67
ტერაქტი	29	20	49
ტერორიზმი	16	9	25
დაშავებული	22	16	38
ტერორისტული ორგანიზაცია	12	9	21

ISIS	32	24	56
ისლამური სახელმწიფო	31	22	53
დაღუპული	26	16	42
სროლა	17	11	28
გარდაცვლილი	14	9	23
აფეთქება	24	18	42
თვითმკვლელი	11	12	23
ჯიჰადისტი	5	3	8
ისლამისტი	11	8	19
პანიკა	24	19	41
ისანი	17	19	36
სპეცოპერაცია	17	19	36
გაბრიელ სალოსი	14	17	31
სპეცრაზმი	15	18	33

როგორც ცხრილიდან 2.2. ჩანს, ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო სიტყვა „თავდასხმა“, - ეს დადებითი ნიშანია, რადგან შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით, ოფიციალური გადაწყვეტილების გარეშე, არ არის მიზანშეწონილი ტერაქტის გამოყენება. ამავე შინაარსის შემცვლელი სიტყვა „აფეთქება“ 42-ჯერ გამოიყენეს. პრინციპი იგივე იყო, რაც სიტყვა „თავდასხმის“ შემთხვევაში. სიტყვა „ტერაქტი“ მოიშნულ იქნა 49-ჯერ. ვერ ვიტყვით, რომ მუდმივად ოფიციალური სტატუსის შემდეგ გამოიყენებოდა ეს სიტყვა, უფრო მეტად ერთი და იმავე ნიუსში სიტყვები - „თავდასხმა“ და „აფეთქება“ სინონიმებად გამოიყენებოდა. ტერმინოლოგია ზოგიერთ შემთხვევაში მართებულად იყო შერჩეული, მაგრამ ხშირად ჩნდებოდა კითხვა, რამდენად შინაარსობრივად და გააზრებულად იყო ეს გაკეთებული, რადგან სხვა შემთხვევაში ანალოგიური სიტუაციისას უკვე არასწორად ვხვდებოდით ტერმინებს.

ვინაიდან 2017 წელს საკმაოდ ბევრ ტერორისტულ აქტზე პასუხისმგებლობა აიღო ისლამურმა სახელმწიფომ, ამიტომ სიტყვები: „ისლამური სახელმწიფო“ და „ISIS” საკმაოდ ბევრ პუბლიკაციაში შეგვხვდა. ამასთან გამოქვეყნებულ მასალასა და ამ სიტყვების გამოყენებას თუ შევადარებთ, ეს ციფრები დიდი მოგვეჩვენება, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ აღნიშნული ონლაინგამოცემები აშუქებდნენ ძირითადად ევროპაში მომხდარ ტერორისტულ აქტებს ან სირიაში(ნაკლებად) განვითარებულ მოვლენებს, რომლის მთავარი განმახორციელებელი, როგორც აღმოჩნდა, ISIS იყო. ჯამში, ეს სიტყვები 95 შემთხვევაში თითოჯერ მაინც იყო გამოყენებული. აღსანიშნავია, რომ ისლამური სახელმწიფოს შესახებ ცალკე მასალა არ არის მომზადებული, ბევრი ყურადღება არ აქვს დათმობილი და არც მკვეთრად ნეგატიურ კონტექსტშია ნახსენები ჟურნალისტებისა და რესპოდენტების მხრიდან. იშვიათი გამონაკლისი იყო დონალდ ტრამპის განცხადება და ლონდონის ტერაქტის დროს მაღალჩინოსანთა განცხადებები. ბუნებრივიცაა, რომ ნიუსური ტიპის მასალაში მკვეთრად უარყოფით პოზიციას ჟურნალისტი ვერ გამოხატავდა. რაც შეეხება ანალიტიკურ სტატიებს, მაგ., „რუსეთი სომხეთს ISIS-თან ბრძოლას აიძულებს“ (https://bit.ly/2IC94cB), უარყოფით კონტექსტშია გამოყენებული შემდეგი სიტყვები: „ყურანი“, „ისლამი“... რა თქმა უნდა, სტატიის შინაარსთან ერთად, რომელსაც ამ თავის სიღრმისეული გაშუქების პრობლემების ნაწილში განვიხილავთ, მსგავსი სიტყვების გამოყენება ასეთ სიტუაციაში არამართებულია, რადგან ჟურნალისტი ხელს უწყობს რელიგიური შუღლის გაღვივებას და ტერორიზმის რელიგიურ კონტექსტში გადატანას.

აღნიშნული ონლაინარხები ხშირად იყენებდნენ ფრაზას - „ევროპის ყველაზე დაცული ქალაქი“ და სიტყვა - „პანიკას“. ეს მხოლოდ ტერორისტულ ორგანიზაციებს უწყობს ხელს, რადგანაც ჩნდება კითხვა, თუ ე.წ. ყველაზე დაცულ ქალაქებში ახერხებენ ტერორისტები აფეთქებებს, ცხადია, სხვაგან, ,,დაუცველებში“, მეტად მოსალოდნელი იქნება. მსგავსი შეტყობინებების გაგზავნა მოსახლეობაში მხოლოდ და მხოლოდ ტერორისტული ჯგუფების მიზნებს ემსახურება. როგორც გამოიყენება ისეთი სიტყვები, როგორებიცაა, მაგალითად, „პანიკა“, რომელიც 43-ჯერ იყო ნახსენები.

სიტყვა „ისლამისტი“ გამოყენებულია 19-ჯერ. თითქოს ეს არ არის დიდი რაოდენობა, მაგრამ საკმარისია რელიგიური ნიშნით კონფლიქტის გაღვივებისთვის და თან იმ პირობებში, როდესაც ისედაც არ მიდის საზოგადოებამდე ანალიტიკური მოსაზრებები ტერორიზმსა და ისლამს შორის რაიმე კავშირის არსებობაზე. კონტექსტის მიხედვით რამდენჯერმე შეცვლილი იყო ისლამური სახელმწიფო და მოხსენიებული იყვნენ ან ისლამისტებად ან რადიკალ ისლამისტებად. სიტყვა „ჯიჰადისტი“ მხოლოდ 8-ჯერ არის გამოყენებული. ასევე, რამდენჯერმე ვხვდებით „ჯიჰადს“. მსგავსი სიტყვების გამოყენება უნდა განვიხილოთ რელიგიურ კონტექსტში.

ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის დროს თითქმის ყველა მასალაში ნახსენები იყო ის ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებიც ამ თემას უკავშირდებოდა: „ისანი“, „გაბრიელ სალოსის ქუჩა“, „სპეცოპერაცია“, „სპეცრაზმი“, ,,ტერორიზმში ეჭვმიტანილები“.

კლიპინგის შედეგად გამოიკვეთა მედიაფრეიმები. ჟურნალისტები ახალი ამბების მომზადებისას ტერმინოლოგიას შინაარსობრივად ზუსტად ვერ არჩევენ. ხშირად გამოიყენებენ ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა მაგ., „პანიკა“. ჩნდება არაპროფესიონალურად გაშუქების პრობლემა, აგრეთვე, რელიგიური კონტექსტის ფრეიმები, რაც ასევე ტერორისტული ორგანიზაციების ,,სასიკეთოდ“ ხდება. ამასთან დადასტურდა, რომ ეთიკური გაშუქების პრობლემა არსებობს, გამოიკვეთა იგივე პრობლემები, რაც ემპირიული მასალისა და მესიჯების ანალიზისას.

2.4 . მულტიმედიური მასალის ანალიზი

კლიპინგის გარდა, მედიაფრეიმებს კარგად ასახავს on.ge-ისა და netgazeti.ge-ზე მომზადებული მულტიმედიური მასალა, რომლის საშუალებითაც ნათლად არის შესაძლებელი ონლაინპლატფორმებზე მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება მოკლედ და საინტერესოდ. ეს უპირატესობა ტერორიზმის თემის გაშუქებისას კარგად არ აქვთ ათვისებული აღნიშნულ მედიაარხებს, რადგან 118 მასალიდან მხოლოდ 11 მულტიმედიური მასალა მომზადდა(დიაგრამა №7), მაგრამ ამ რაოდენობამაც მნიშვნელოვანი მედიაფრეიმები წარმოაჩინა.



დიაგრამა № 2.7

On.ge-მ მოამზადა მასალა „ბარსელონას ტერაქტი ფოტოებში“ (http://go.on.ge/fsn). ფოტორეპორტაჟში ძირითადად მოცემულია გაოგნებული და პანიკაში მყოფი ადამიანების ფოტოები. მეტიც, ზოგიერთი ფოტო, რომელიც ადამიანთა შიშს წარმოაჩენს, განმეორებითაც კი არის გამოყენებული იმავე ფოტოამბავში. ეს სურათები სხვადასხვა ვებგვერდებს ცალ-ცალკე ჰქონდათ დადებული, ხოლო ქართულმა ინტერნეტგამოცემამ ფოტორეპორტაჟად ააწყო. ბუნებრივია, ასეთი ფოტოები კარგად „იყიდება“ და ეს მომხმარებელთა მოზიდვის კუთხით მომგებიანია. თავის მხრივ, ტერორისტულმა ჯგუფებმაც სასურველი შედეგი მიიღეს და მძაფრად იმოქმედეს ადამიანებზე. On.ge-ზე სტოკჰოლმის ტერაქტზე (http://go.on.ge/bbl) მასალა მულტიმედიური ელემენტით გამოქვეყნდა, - გავრცელდა „გარდიანის“ მიერ მოპოვებული ვიდეო, რომელშიც ზედხედით ჩანს, თუ როგორ გარბიან შეშინებული ადამიანები აფეთქების შემდეგ. ინგლისურმა ავტორიტეტულმა გამოცემამ უარი ვერ თქვა სანახაობასა და ექსკლუზივზე და გაავრცელა ეს ვიდეო, მაგრამ იგი ქართულმა ონლაინმედიამაც უცვლელად გადმოიტანა. რეიტინგის მხრივ და შესაბამისად, ფინანსურადაც, „გარდიანმა“ მნიშვნელოვანი წინსვლა განიცადა, თუმცაღა, ეს მათ არ ამართლებს. სავარაუდოდ, on.ge-ის მოგება ამ მხრივ განსაკუთრებული არ იქნებოდა და ამ ვიდეოს გავრცელება არაპროფესიონალიზმს უნდა მივაწეროთ,

თუმცაღა, ვერც იმ მცირე მოგებასა და სარგებელზე თქვა უარი აღნიშნულმა გამოცემამ და ტერორიზმთან ინტერაქტიულ ურთიერთობაში შევიდა. ანალოგიურ პრობლემას ვხვდებით „ნეტგაზეთის“ შემთხვევაშიც: „ლონდონში მიკროავტობუსი ფეხით მოსიარულეებში შევარდა – დაღუპულია სულ მცირე ერთი ადამიანი“ (https://bit.ly/2ks2gkn). ტექსტის გარდა, ამბავი გადმოცემულია ფოტოებითა და ვიდეოებით, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა შიშსა და პანიკას გამოხატავდა. მეტიც, ტექსტში მულტიმედიური მასალები აღწერილიც იყო. მიზეზი კი მხოლოდ რეიტინგის ზრდასა და ფინანსურ მოგებას უკავშირდებოდა (როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი მედიის), ხოლო ამით, გამოცემები, უნებლიეთ, კვლავაც შევიდნენ ტერორისტულ ორგანიზაციებთან სიმბიოზურ ურთიერთობაში, რადგან საკუთარი ინტერესების გამო, გაატარეს მათი ინტერესებიც.

On.ge-ისა და netgazeti.ge-ის ჰქონდათ მომზადებული ისეთი მულტიმედიური მასალებიც, რომლებიც შეიძლება დადებითად შეფასდეს. მაგ. „ნეტგაზეთმა“ მომხმარებელს შესთავაზა ნიუსი „ლონდონში, პარლამენტთან ტერორისტული თავდასხმისას 1 ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე კი დაშავდა“ (https://bit.ly/2s4Ss3Z), რომელშიც ბევრი ფოტო იყო გამოყენებული, მაგრამ ფოტოებზე შეშინებული ადამიანები კი არ იყვნენ აღბეჭდილი, არამედ სამართალდამცავები, რომლებიც ეხმარებოდნენ მოქალაქეებს და უზრუნველყოფდნენ პერიმეტრზე სიმშვიდეს. იმავეს თქმა შეიძლება on.ge-ის მიერ მომზადებულ მასალაზე „ლონდონში რამდენიმე ტერორისტული აქტი განხორციელდა“ (http://go.on.ge/d8l), რომელშიც მოცემულია როგორც სურათები, ასევე ტვიტერზე გამოხმაურებები. ტერორისტული თემების ასე გაშუქების შემთხვევაში, მედიასა და ტერორისტულ ჯგუფებს შორის არ იქნება ურთიერთსარგებლიანობა, მაგრამ ჯერჯერობით, მედია იშვიათად ახერხებს ამბის ისე თხრობას, რომ ტერორისტულ ორგანიზაციებთან სიმბიოზურ ურთიერთობაში არ შევიდეს. ბუნებრივია, რთულია კონკრეტულმა მედიაარხმა უარი თქვას ექსკლუზიურ ვიდეოებსა და სურათებზე, მაგრამ ყველაფერს თავისი ფორმა უნდა ჰქონდეს. მასშტაბურად არ უნდა ვრცელდებოდეს ერთი გამოცემის მიერ ან სოციალურ ქსელში გავრცელებული ისეთი მასალები, რომლებმაც, შესაძლოა, მოიზიდოს მეტი მომხმარებელი, მაგრამ სანაცვლოდ, ტერორისტებმა სათავისო სარგებელი ნახონ.

თავი 3. სიღრმისეული ინტერვიუ

სიღრმისეული ინტერვიუს მიზანია, გამოიკვეთოს, გაანალიზდეს და რამდენიმე მიმართულებით იქნას შესწავლილი ქართულ ონლაინ მედიასა და ტერორიზმს შორის არსებული სიმბიოზური მახასიათებლები. სიღრმისეული ინტერვიუს დროს დაისვა ყველა ის აქცენტი, რომელიც მთავარ საძიებო მიმართულებად გასდევს კვლევას: ონლაინ მედიის როლი ტერორიზმთან მიმართებაში, ონლაინ მედიისა(ინტერნეტის) და ტერორიზმის სიმბიოზური დამოკიდებულება, რა ეთიკური დილემების წინაშე აღმოჩნდება ჟურნალისტი ამ თემის გაშუქებისას (როგორ შუქდება ონლაინ მედიაში ტერორიზმი) და სხვადასხვა სფეროს ექსპერტებისა და ანალიტიკოსების გაცემული რეკომენდაციები.

§ 3.1. ონლაინმედიის როლი ტერორიზმთან მიმართებაში

ყველა რესპონდენტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ონლაინმედიის როლს ტერორიზმთან მიმართებით და ამის მთავარ მიზეზად ინტერნეტის განვითარებასა და მის „უკონტროლობას“ ასახელებს, თუმცაღა, ყველა მათგანი თანხმდება, რომ დემოკრატიულ სამყაროში მისი კონტროლი არ შეიძლება და უმრავლეს შემთხვევაში წარმოუდგენელიც არის. მედიაანალიტიკოსი ირაკლი ტაბლიაშვილი მიიჩნევს, რომ „ჯანსაღი დეფინიციით უკონტროლობამ“ ფართო ასპარეზი მისცა ტერორისტულ ჯგუფებს: „გლობალურ ქსელზე წვდომა აქვს ყველას, მათ შორის ტერორისტულ ორგანიზაციებსაც, რომლებიც გარკვეულ შემთხვევებში ინტერნეტში განთავსებულ მუქარებს ასრულებენ, მაგრამ, მეტწილად, ეს მუქარები მხოლოდ მუქარებია. ეს არის მათი ჰიბრიდული ომის ნაწილი, რადგან ამით საზოგადოებაში თესავენ ნიჰილიზმს, სკეპტიციზმს, შიშსა და პანიკას“. მედიაექსპერტი სამყაროს მთავარ გამოწვევად ტერორიზმის დაანონსებას ასახელებს და განსაკუთრებულ საფრთხეს ხედავს განვითარებადი ქვეყნების, მათ შორის საქართველოსთვისაც, რადგან ასეთ ქვეყნებს „არ აქვთ ის ტექნოლოგიური საშუალებები, რომლებითაც ამას შეეწინააღმდეგებიან“. ტერორიზმის დაანონსების გავრცელების საუკეთესო იარაღი მედიაა,

მათ შორის ონლაინმედია, რომელიც ინფორმაციას არამხოლოდ ვებგვერდის, არამედ მსოფლიო გიგანტების, სოციალური ქსელების საშუალებით აწვდის მომხმარებელს და საქართველოში (განვითარებად ქვეყნებში) ეს საფრთხე იზრდება, რადგან მედია და ონლაინმედიაც არ არის საზოგადოების პარტნიორი, - „მედიის მთავარი როლი ამ შემთხვევაში ინფორმაციულობა და ინფორმაციის გავრცელებაა. ონლაინმედია, მეტწილად, ორიენტირებულია თვითკმარი იყოს, საკუთარი შემოსავლები ჰქონდეს, ამიტომ მისთვის არ არის პრიორიტეტული, გაავრცელოს ისეთი ინფორმაციები, რომლებიც შესაძლოა პრიორიტეტული იყოს საზოგადოებისთვის. პარტნიორობა აუცილებელი მოვლენაა იმისათვის, რომ მედია იყოს ინფორმატორი და მოდერატორი.“ ირაკლი ტაბლიაშვილი ამ პრობლემას დასავლურ მედიაშიც ხედავს, მაგრამ ძირითად შემთხვევებში ეს შეეხება ე.წ. „ტაბლოიდურ გამოცემებს“, რადგან „წამყვანი მედია ხშირად სოციალურ კამპანიებს ატარებს. მაგ. The New York Times-მა აწარმოა კამპანია ჰაკერული თავდასხმების წინააღმდეგ და ეცადა, რომ საზოგადოება მეტად ინფორმირებული ჰყოლოდა. ჩვენს სინამდვილეში მედიამ ვერ აიღო ეს ფუნქცია საკუთარ თავზე, ეს მისია, სრულიად ჩახსნილი აქვს“.

კონფლიქტოლოგი ზაზა ცოტნიაშვილი ინტერნეტის გავრცელებასა და ონლაინმედიის სივრცის შექმნას მიიჩნევს ტერორიზმისთვის გავრცელების ახალ პლატფორმად, რომელმაც „დამატებითი რესურსი შეუქმნა ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომ ჰქონდეთ საკუთარი მიზნების შესრულების უფრო მეტი შესაძლებლობა“. ამის მთავარ მიზეზად კი ონლაინმედიის ხასიათს ასახელებს, რადგან ონლაინმედია უფრო სწრაფია, აქვს სწრაფი უკუკავშირი, ინფორმაციის გავრცელებას ხელს უწყობს ნებისმიერი მიმართულებით და მათ შორის ტერორიზმთან მიმართებითაც, შესაბამისად „ეს თემა გახდა უფრო აქტუალური და უფრო საინტერესო გაშუქების მიმართულებით“. ზაზა ცოტნიაშვილი, ონლაინმედიის მთავარ ფუნქციას ტერორიზმის წინააღმდეგ, ეთიკურად გაშუქებასა და პროფესიული სტანდარტების დაცვაში ხედავს, რათა ტერორისტული დაჯგუფებების ხელში დამატებითი იარაღი არ აღმოჩნდეს, - „ტერორიზმის მთავარი მიზანი არის რომ შიში დანერგოს ადამიანებში, სახელმწიფოებში, საზოგადოებებში. მედიამ, რა თქმა უნდა, გააშუქოს, მაგრამ

რაც შეიძლება ეთიკური ნორმების დაცვით, რაც შეიძლება ნაკლებად მსხვილი პლანის გამოყენებით“.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი ნატა ძველიშვილი მიიჩნევს, რომ ინტერნეტისა და ონლაინმედიის გავრცელებასთან ერთად, მომხმარებელსაც შეუძლია იყოს თავად მედია (შექმნას თავისი ვებგვერდი, სოც. ქსელში ჰყავდეს ბევრი მიმდევარი(ფოლოუერი) და ჰქონდეს უფრო მეტი გამოხმაურება, ვიდრე ბევრ ონლაინ და სხვა ტიპის მედიას) ანუ იყოს საზოგადოებაში ინფორმაციის გამავრცელებელი. შესაბამისად, ინფორმაციის გავრცელების პლატფორმების გაჩენამ იოლი გახადა ამ ტერორისტული მიზნების შესრულება, საზოგადოებაში შიშის და პანიკის დათესვა, - „ინტერნეტ მედიაში ძალიან ადვილად ვრცელდება ვიდეოები, რაც უხვად არის ატვირთული სოციალურ ქსელში და იმის გამო, რომ საზოგადოება ითხოვს გამოხატვის თავისუფლების მაღალ სტანდარტს, ისინი ცდილობენ სარგებლობის ნახვას და საკუთარი მიზნების შესრულებას. ავრცელებენ ინფორმაციას, ქმედით ვიდეოებს და ა.შ“. მედიაანალიტიკოსი მედიის მთავარ გამოწვევად ტერორისტული ტიპის მასალების ისე გამიჯვნას ასახელებს, რომ არ დაზიანდეს გამოხატვის თავისუფლება და მეორე მხრივ, ხელი არ შეეწყოს ტერორისტული ზრახვების პოპულარიზაციას. ნატა ძველიშვილი ამბობს, რომ მედია არ არის მთავარი მოთამაშე ტერორიზმთან ბრძოლაში, ამისთვის შესაბამისი უწყებები არსებობენ, უბრალოდ, მედიას ერთადერთი რაც შეუძლია არის ის, რომ სწორი გაშუქებით, ერთი მხრივ, არ დათესოს პანიკა საზოგადოებაში, მეორეს მხრივ, მიაწოდოს ინფორმაცია და ხელი არ შეუწყოს მოწოდებების გავრცელებას: „მედიის მთავარი ფუნქციაა რეალობის ასახვა. თუ ამას პასუხისმგებლობით გააკეთებს, ეთიკურ ჩარჩოებში მოაქცევს ყველა პროდუქტს, მაშინ ის, ცხადია, გარკვეულ წვლილს შეიტანს ტერორიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ეს არ არის მისი პირდაპირი მოვალეობა. მედიას თავისი თანმიმდევრული გაშუქებით, შეუძლია ქვეყანაში დღის წესრიგი შეცვალოს და შეუძლია რომ გარკვეული საკითხი აქტუალური გახადოს“. მისი თქმით, მედია ვერ ახერხებს მობილიზებას და თანმიმდევრული ნაბიჯების გადადგმას, როგორც ტერორიზმის, ასევე ნებისმიერი სხვა თემის გაშუქებისას: „ჩვენთან უფრო ფრაგმენტული გაშუქებაა ნებისმიერი თემისა, არა

პროაქტიული, არამედ რეაქტიული, როდესაც რაღაც მოხდება, მხოლოდ ერთ ჭრილში შუქდება ამბავი და ამ პრობლემაზე ანალიტიკური მასალები არ მზადდება“.

ექსპერტს უსაფრთხოების საკითხებში, გიორგი გოგუაძეს მიაჩნია, რომ მედიისა და ტერორიზმის ურთიერთობა დემოკრატიულ სახელმწიფოებში ხდება აქტუალური, რადგან დემოკრატიულ ქვეყნებს ახასიათებს კომფორტისა და თავისუფლებისკენ მიდრეკილება, რასაც აქვს თავისი უკუშედეგები. მაღალი ტექნოლოგიები და სწრაფვა განვითარებისკენ აღჭურავს არაკეთილისმსურველ აქტორებს, - „ზოგადად, ტერორიზმი, უფრო მეტად ,,ხარობს“ და უფრო მეტი გასაქანი აქვს თავისუფალ ქვეყნებში. თორემ, მაგ., ჩრდ. კორეაში, ვინც რა უნდა აკეთოს, მაინც არაფერი გამოვა, რადგან სახელმწიფო მანქანა გაცილებით მძლავრია და სახელმწიფო კონტროლი გაცილებით ძლიერია“.

გიორგი გოგუაძეს მიაჩნია, რომ ტერორიზმი არ არის თვითმიზანი, ტერორიზმი არის არხი და გზა იმისა, თუ როგორ აღწევენ ესა თუ ის ჯგუფები სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზნებს, - „მაგალითად, თუ კოკა-კოლასთვის მედია არის საშუალება საკუთარი მარკეტინგული კამპანია უფრო ეფექტურად აწარმოოს, ისეთივე წარმატებით გახდა მედია(სოციალური) საკუთარი იდეოლოგიის გასავრცობად და ახალი რეკრუტების მოსაძებნად ალ-ქაიდასა და ისლამური სახელმწიფოსთვის. ასე რომ ეს ძალიან ჰგავს კორპორაციას, კომპანიას, რომელიც ასევე წარმატებით იყენებს ახალ ტექნოლოგიებს“.

ექსპერტის აზრით, მედიას აქვს ძალიან დიდი როლი, ფუნქცია და პასუხისმგებლობა, რადგან იგი „ტერორიზმისთვის არის როგორც ჟანგბადი“(მარგარეტ ტეტჩერი). გიორგი გოგუაძე განავრცობს ტერორიზმის მამად წოდებული ბრაიან ჯენკისის ცნობილი გამონათქვამს: ტერორიზმს არ სურს ბევრი მოკლული, მას სურს ბევრი მაყურებელი, - მისთვის არ აქვს მნიშვნელობა 5 ადამიანი მოკვდება თუ 10 ადამიანი, არამედ რამდენად ტალღურად გავრცელდება, რამდენად დაფარავს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფს ეს ამბავი, რადგან ტერორიზმისთვის არ არის სამიზნე ჯგუფი ის, ვინც უბრალოდ კვდება, არამედ ის ადამიანები, რომლებიც ტელევიზორს უყურებენ და ქცევის ცვლილება ახასიათებს: „ტერორიზმი, რა თქმა უნდა, უნდა გავაშუქოთ. ეს არ არის ჩვეულებრივი კრიმინალი, ეს

არის პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური წინააღმდეგობა, რომელიც გაცილებით უფრო დიდი პრობლემა და გამოწვევაა, ვიდრე მაგალითად, ქურდული სამყარო, მაფია და ა.შ., იმიტომ რომ, მათ აქვთ საკუთარი პრიმიტიული ამოცანები და მიზნები. ამის გაშუქება ერთნაირად ვერ მოხერხდება, რადგან ბუნებით არ არის ერთი და იგივე აქტი. ამგვარად, იმთავითვე არასწორია, ზოგი მკვლევრის მიდგომა, რომ მედიამ თვალი უნდა დახუჭოს ამაზე. მეორე მხრივ, მე მაქვს უფლება, ვიცოდე რა ხდება და ვინ რა მოტივით მოქმედებს“, თუმცაღა, მედია არ უნდა იქცეს კატალიზატორად. დაუშვებელია, როცა ტერორისტს განდიდებენ, მითოლოგიის ჭრილში გადაყავთ: „ნიშნადობლივია, თარხან ბათირაშვილის მაგალითი, რომელიც ჩვენმა მედიამ პრაქტიკულად რომანტიზებულ გმირად აქცია. ადამიანი, რომელიც ტერორისტი, ჩვეულებრივი დამნაშავეა, არ უნდა იყოს მოწონებული საზოგადოების მხრიდან და განსაკუთრებით იმ თემის წარმომადგენლებს შორის, საიდანაც ის წამოვიდა. პირიქით მოხდა, მისტიური ადამიანი გახდა, ლეგენდები შეიქმნა. და ზოგადად, ტერორიზმსა და მსგავსი ტიპის დანაშაულს და მოქმედებებს ახლავს ლეგენდადქცევის მომენტი“. მედიაც ყოველთვის ეძებს სპეციფიურ, განსაკუთრებულ ექსკლუზივს და ხალხიც ამას ითხოვს. ამას აკეთებენ ტერორისტული ჯგუფები და ისლამური სახელმწიფოც, რომელმაც დაიჭირა ზღვრების შუალედი და მასალებსაც აქვეყნებს მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებით: „სანახაობა მოუწყო მედიას, სოციალურ თუ ონლაინმედიით ხალხს და ამან გაამართლა, რადგან მილიონობით ნახვა ჰქონდა ვიდეოებს და მილიონებიდან რომ 200 კაცი გახდეს მათი მომხრე, ეგეც შედეგია“.

გიორგი გოგუაძეს მიაჩნია, რომ მედიას აქვს შესაძლებლობა ტერორიზმს შეებრძოლოს, უგულებელყოს მათი გზავნილები, დაუპირისპირდეს იდეოლოგიას, ისევე წარმატებით შეიძლება გახდეს საბრძოლველად ინსტრუმენტი, როგორც ტერორისტებს შეუძლიათ მათი გამოყენება, იმის მიუხედავად, რომ ტერორისტული ორგანიზაციები აქცენტს აკეთებენ მედიაზე, შოუს დადგმასა და დრამატიზაციაზე, მაგრამ ასევე შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიულიც, მედიას შეუძლია ხალხის მობილიზება, მედიას შეუძლია სახელმწიფოს მისცეს ხალხის ნებით იმის ბერკეტი, რომ ხისტი გახდეს ტერორისტების მიმართ: „მედიას შეუძლია ორი მიმართულებით იმუშაოს - უნებლიეთ დაეხმაროს

ტერორისტულ ორგანიზაციებს ან გააზრებულად გაანადგუროს იგი. ამიტომაც, ტერორისტული ჯგუფები ბოლო პერიოდში მუდმივად შოუს და კამერებს არ დასდევენ, ვინაიდან ყოველ წუთს რომ ტერორისტული აქტები მოახდინონ, ამას შესაბამისი რეაქცია მოჰყვება და ამასთან მათ კარგად იციან, რომ თვითონ უფრო სუსტები არიან, ვიდრე მოწინააღმდეგეები და სულ არიან თვიტგადარჩენის მდგომარეობაში".

ამირან სალუქვაძის აზრით, მედიის ფორმის ცვლილებამ ტერორისტებს სანახაობაზე მეტი აქცენტის გაკეთების საშუალება გაუჩინა, თუმცაღა, ქართული მედიის პირობებში უმჯობესია ყველა მედიასაშუალების ერთობლიობაში დანახვა, რადგან მედიის ფორმები მუდმივად იცვლებოდა და შეიცვლება. ექსპერტს მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა გაშუქდეს ტერორიზმი და მასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ არა ასეთი სიხშირით, აჟიოტაჟითა და ინფორმაციული შტურმით, ხოლო მედია ამას ფუთავს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებით, - „მედიასაშუალება ინფორმაციას აშუქებ ისე, რომ მე მაზიანებ და ამის სარჩულად იყენებ იმას, რომ მე მაწვდი ინფორმაციას, თითქოს ჩემზე ზრუნავ, გამოდის რომ გულწრფელი არ ხარ".

ამირან სალუქვაძეს მიაჩნია, რომ ტერორისტული აქტების ძალიან დიდი ნაწილი დაშინებასა და დათრგუნვასთან ერთად ხორციელდება იმის გამო, რომ თავი შეახსენონ მსოფლიოს, თავი შეახსენონ დამფინანსებლებს და ზოგადად, შეინარჩუნონ ტრენდი, რა მიზნებსაც ემსახურებიან, - „ამ მიზნების მიღწევაში მედია ეხმარება - მაგალითად, მოხდა რაღაც ტერორისტული აქტი, რომელსაც შესაძლოა მსხვერპლიც არ მოჰყოლია, მაგრამ ეს არის დღეებისა და კვირების განმავლობაში განხილვის საგანი. ვინც ეს ტერაქტი ჩაიდინა, მასაც ეს უნდოდა, ძალიან მწირი დანახარჯებით, ის აღწევს იმას, რომ იწვევს მოქალაქეების დათრგუნვას, დაშინებას. იწვევს მათი ორგანიზაციის შესახებ მუდმივ საუბარს და ძირითადი რაც არის, ინფორმაციის გავრცელებას მედიაში. უმნიშვნელო დანახარჯებით იყენებს სხვის მედიასაშუალებებსა და მათ რესურსებს".

ექსპერტის აზრით, მედიას აქვს ბევრი შესაძლებლობა ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ერთ-ერთი ანალიტიკური საქმიანობაა, გამომწვევ მიზეზებზე საუბარი,

თუმცა, ამ შემთხვევაში პოლიტიკური მედია ამ თემით სარგებლობას შეეცდება და საზოგადოება კვლავაც დაზიანდება, რადგან ეს არის თემა, რომელიც არ უნდა იყოს გამოყენებული ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის, - „ჩვენ შემთხვევაში ტერორიზმთან ერთად კიდევ ერთი თემა არის, რომელსაც არ უნდა ვიყენებდეთ პოლიტიკური ქიშპობისთვის, ეს არის დეოკუპაციის საკითხი და ქვეყნის გაერთიანება“. ამირან სალუქვაძე ანალიტიკურ საქმიანობასა და მედიის მთავარ საინფორმაციო თემას შორის სხვაობაზე მიანიშნებს, რადგან, სხვა საკითხია, როდესაც ზოგადად საუბრობ ტერორიზმზე და ამით იწყება და მთავრდება საინფორმაციო გამოშვება და, მეორე, როცა უღრმავდები, - „ტერორისტმა 5 წამში გააკეთა ყველაფერი, ვიღაც მოკვდა, დაშავდა და ა.შ და მათთვის ეს გრძელდება დიდხანს, გამოჯანმრთელებამდე, მაგრამ დანარჩენი საზოგადოებისთვის, წესით, თუ არ იქნება საინფორმაციო გამოშვებების მიერ მუდმივი გაშუქება და დროში განგრძობილი თემა, მალევე დამთავრდება მისი ზემოქმედების ეფექტი“.

მედიაანალიტიკოსი სოფო გელავა განსაკუთრებით გამოყოფს სოციალური მედიის როლს რეკრუტირების პროცესის გაადვილებიდან გამომდინარე, რასაც ისიც ადასტურებს, რომ პანკისის ხეობის მაგალითზე, ჩვენ ვიცით, რომ სირიაში წასულებსა და ხეობაში მათ მეგობრებს, კომუნიკაცია whatsapp-ის ჩათების მეშვეობით ჰქონდათ. აქ მყოფებს სირიიდან უგზავნიდნენ ემოციურ ვიდეოებს, ფოტოებს, მოუწოდებდნენ საკუთარი ძმების დაცვისაკენ, რაც, რა თქმა უნდა, აქ მყოფებზე ემოციურ გავლენას ახდენდა. ამასთან ონლაინმედია საკუთარი მასალების გასავრცელებლად სოციალურ მედიას იყენებს, შესაბამისად, ონლაინმედია სოციალური მედიის გავლენით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს: „1. უადვილებს ტერორისტულ ჯგუფებს სხვათა რეკრუტირებას; 2. უადვილებს როგორც ერთმანეთში, ასევე სხვებთან კომუნიკაციას”. მედიისა და განვითარების ფონდის მკვლევარს მიაჩნია, რომ როგორც არ უნდა გაშუქდნენ ტერორისტული ჯგუფები, გაშუქებით ისინი საკუთარ მიზანს აღწევენ - სწვდებიან ფართო საზოგადოებას: „აქედან გამომდინარე, მედიას დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ამ ბრძოლაში. ერთი მხრივ, არ უნდა მოახდინოს კონკრეტული ჯგუფების ტერორიზმთან დაკავშირება, არ უნდა მოახდინოს რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფების განზოგადება ტერორიზმთან, მეორე მხრივ კი

არსებობს კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ტერორისტების მიერ შექმნილი პროპაგანდისტული ვიდეობის ტრადიციული მედიის მიერ ტრანსლირება“.

§ 3.2. გაშუქების ხარისხი და ეთიკური დილემები

ტერორიზმის გაშუქების სირთულეს ყველა ექსპერტი ხაზგასმით აღნიშნავს, მაგრამ ყველა მათგანს თავისი ხედვა აქვს და დილემებს სხვადასხვა საკითხთან მიმართებით ხედავს. ირაკლი ტაბლიაშვილი მორალურ და ეთიკურ დილემებზე მეტად, თვითრეგულაციაზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცაღა, აღნიშნავს, რომ არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად მაღალია, რომ მორალური და ეთიკური გამოწვევები დაწეულია, - „მორალური და ეთიკური დილემები ცხადია არსებობს, მაგრამ მთავარი თვითრეგულაციაა. ინდივიდის ან კორპორაციის ეთიკურ ნორმებზე არის დაფუძნებული ბევრი რამ, მაგრამ ეს არ არის კანონზე დაფუძნებული“.

ზაზა ცოტნიაშვილი აღნიშნავს, რომ ამ თემის გაშუქებისას დილემის წინაშე მყოფ ჟურნალისტს მუდმივად უნდა ახსოვდეს, ისე გააშუქოს თემა, რომ არ დათესოს შიში და პანიკა საზოგადოებაში, ადამიანები, რომლებიც ისედაც დათრგუნულ მდგომარეობაში არიან, ჟურნალისტის (კორპორაციის, რედაქციის, გამოცემის) არაპროფესიონალური და არაეთიკური მოქმედებით კიდევ უფრო მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და, ამავდროულად, საზოგადოებას მიაწოდონ დაბალანსებული ინფორმაცია. ეს არ არის მარტივად ამოსახსნელი ამოცანა, მაგრამ ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ტერორიზმისათვის მედია უნებლიე იარაღი გახდება.

ნატა ძველიშვილისთვის ამ თემის ეთიკური გაშუქება მთავარი ამოსავალი წერტილია. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, რომ ტერორიზმის გაშუქების რეკომენდაციების მომზადება ამ ორგანიზაციისთვისაც დიდი გამოწვევა იყო და მიღებული სახელმძღვანელო ასეთი სახის რეკომენდაციების ინსტრუქციის პირველი შემთხვევაა. მხოლოდ ამის შემდეგ დაინერგა ასეთი

სახელმძღვანელოების მომზადების პრაქტიკა. მედიაექსპერტი აღნიშნავს, რომ ჟურნალისტისათვის ყველაზე რთული არის ბალანსის დაცვა და ეს არის მთავარი გამოწვევა, - „ბალანსი უნდა დაიცვა ერთი მხრივ იმით, რომ პანიკა არ დათესო და ტერორი არ გამოიწვიო, რაც არის მიზანი ტერორისტული დაჯგუფებების და მეორე მხრივ, ვაკუუმში არ ამყოფო შენი აუდიტორია. ეს არის ძალიან რთული, მაგრამ პასუხისმგებლიანი, მაღალკვალიფიციური მედია სწორედ იმიტომ არსებობს, რომ ყველა შემთხვევაში, ინდივიდუალურად, მნიშვნელოვანია ბალანსი იყოს დაცული".

გიორგი გოგუაძე პრობლემათა ერთობლიობას ხედავს ტერორიზმის თემის გაშუქებისას, მათ შორის კი გამოყოფს სტერეოტიპების დამკვიდრებას, როდესაც ტერორიზმთან დაკავშირებული ნებისმიერი მოვლენა კონკრეტულ რეგიონებს ან ეთნიკურ ჯგუფებს უკავშირდება, - „როდესაც ისლამურ სახელმწიფოში ვიღაც მოკვდება, ავლენ პანკისში, გადაიღებენ სიუჟეტებს და ა.შ., ეს ყველაფერი უფრო რადიკალურ ფაქტორად მუშაობს. სტერეოტიპებისა და იარლიყების მიწებებას უნდა მოვერიდოთ". ექსპერტს, უსაფრთხოების საკითხებში, მიაჩნია, რომ ტერორიზმის დროს არ უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული აქცენტი მონაწილე პირებზე, მათ ისტორიებზე, არამედ მთლიან კონტექსტში უნდა გაშუქდეს, ,,იმიტომ რომ, ყველა ადამიანის უკან რაღაც ისტორია დგას და ვეღარ აუდიხარ ლეგენდების შექმნას მისი წარსული ცხოვრების შესახებ".

ამირან სალუქვაძეს მიაჩნია, რომ მთავარი დილემა ამ თემის გაშუქებისას არის რეიტინგი თუ საზოგადოების უსაფრთხოება, რომელიც მედიას, ნებით თუ უნებლიედ, ხშირად ავიწყდება და მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს მიუთითებენ, - „სახელმწიფო უსაფრთხოება სახელმწიფო ინსტიტუტების საქმეა, მაგრამ ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ გაერთიანებას შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგადოებას. მედიასაც, როგორც გაერთიანებას, თავისი ქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი და ეს უნდა იყოს შემზღუდავი. მედია რეიტინგს არ უნდა ეკიდებოდეს ჩემი უსაფრთხოების ხარჯზე". ექსპერტის აზრით, რეიტინგზე უარის ვერ თქმა არის გაუცნობიერებლობა, შეიძლება პროფესიონალი ჟურნალისტი იყოს, მაგრამ ვერ ხვდებოდეს იმ პრობლემას, რომ ამ აჟიტირებით ხელს უწყობს ტერორიზმს და საკუთარ საქციელს ფუთავს კეთილშობილი

მიზნით, რომ ყველაფერი მიაწოდოს საზოგადოებას, - „ჯიუტად შეიძლება ამტკიცონ, რომ საზოგადოება არ იღებს ზიანს ან ამაზე სახელმწიფომ იფიქროს, მაგრამ თუ სახელმწიფომ უნდა იფიქროს, მაშინ სახელმწიფომ შესაძლოა ასე გაიაზროს: მე არ მაქვს მედიასაშუალებები. ერთი მაქვს და ურეიტინგოა და ამინდს ვერ ქმნის, მაშინ რა ვქნა, ცენზურა? და დროის რაღაც მონაკვეთები შეიზღუდოს? ეს ხომ არასწორია“.

ექსპერტებმა ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქებისას ქართულ ონლაინმედიაში ბევრი ხარვეზი დაინახეს, მაგრამ ისინი ცალსახად გამოყოფენ ამაში ხელისუფლების პასუხისმგებლობასაც, თუმცაღა, მედიის (ონლაინმედიის) არაპროფესიონალიზმზეც ამახვილებენ ყურადღებას. ირაკლი ტაბლიაშვილი მიიჩნევს, რომ ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მიმდინარე მრავალსაათიანი სპეცოპერაციისას ინფორმაცია იყო დახშული, ხელისუფლება მედიასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციას სათანადოდ ვერ ახერხებდა, დაბალი ნდობის პირობებში კი თავისუფალი ვარიაციების შესაძლებლობა და სურვილი გაჩნდა როგორც რიგით მოქალაქეებში, ასევე ჟურნალისტებშიც, - „კონტრტერორისტული სპეცოპერაციისას და შემდეგაც, გეპი(შუალედი) ინფორმაციის გასაჯაროებასა და სპეცოპერაციის აღსრულებას შორის იყო საკმაოდ ხანგრძლივი. ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაბალგანვითარებული ქართული მედია კონსპირაციული თეორიით დაკავდა, მაგრამ აქ ხელისუფლების დადანაშაულებაც შეიძლება, რადგან მედიას დიდი შუალედის გაჩენით ამის საშუალება მისცა“.

მედიაანალიტიკოსი კონტრტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქებასთან მიმართებით, ასევე, მთლიანად ქართული ონლაინმედიის შეფასებისას გამოჰყოფს რამდენიმე მათგანს, რომლებიც მეტ-ნაკლებად სწორი აქცენტებითა და მაღალი სტანდარტებით წარმოაჩენენ ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს. დასახელებულ გამოცემებში მოხვდა ჩვენს მიერ შესწავლილი netgazeti.ge და on.ge. ექსპერტის აზრით, „ქართულმა ონლაინმედიამ პრაქტიკულად არ გააშუქა ეს საკითხი და ეყრდნობოდა ტელევიზიებს, რომლებიც ასევე ინტერნეტშიც ოპერირებენ. ეს შეიძლება არ ეხება ყველა გამოცემას, გვაქვს რამდენიმე კარგი გამოცემა: „ტაბულა“, on.ge, „ნეტგაზეთი“, „ლიბერალი“, რადიო ,,თავისუფლება“ - ესენი არიან რესპექტაბელური, ოპერატიული, ტექნოლოგიური სიახლეების კარგად ამთვისებელი

გამოცემები“. მედიაექსპერტი აღნიშნავს, რომ ეს რაოდენობა არ არის საკმარისი და მათ ჯერჯერობით უჭირთ იმ დიდი რაოდენობის დაბალი სტანდარტებით მომზადებული მასალების „გადაფარვა“, თუმცაღა, ქართული ონლაინმედიის ზოგადი შეფასებისას ყურადღებას ამახვილებს, რომ აღნიშნულ ვებგვერდები რესპექტაბელური მედიის სტანდარტებს აკმაყოფილებენ, მაგრამ ბევრი აქვთ სასწავლი იმისთვის, რომ დაეწიონ და გაუტოლდნენ დასავლეთ მედიის დღევანდელ მდგომარეობას, - „თუ ისინი (აღნიშნული 5 ვებგვერდი) დარჩებიან საზოგადოების პარტნიორებად, ამ შემთხვევაში ,,შეჭამენ“ სხვა მათზე პოპულარულ, მაგრამ მათზე არასანდო და ტაბლოიდურ ვებგვერდებს. მაგრამ მთლიანობაში ძალიან დაბალი დონეა, რადგან ეს ხუთეული რაოდენობრივად ძალიან ცოტაა მაღალი დონისთვის“.

ზაზა ცოტნიაშვილი ამბობს, რომ უამრავი ეთიკური დარღვევა დაფიქსირდა ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქებისას, არ იყო აუცილებელი მუდმივი პირდაპირი ეთერი, არ გაშუქდა სიღრმისეულად, ჟურნალისტების მხრიდან ისმოდა „შეშფოთებული ინტონაციები“, მაგრამ კონფლიქტოლოგი აღნიშნავს, რომ ქართული ონლაინმედია ნელ-ნელა პროგრესირებს, - „ბუნებრივია უამრავი დარღვევა არსებობდა, თუმცაღა, აქ პოზიტივის პოვნაც შეიძლება, რადგან ჟურნალისტები პროფესიულად იზრდებიან, ამას პრაქტიკაც განაპირობებს, საქართველოში მომხდარი სხვა მსგავსი ტიპის ან საომარი მოქმედებებისგან განსხვავებით, უკეთესად გაშუქდა. ქართული ჟურნალისტიკა ვითარდება, მაგრამ ჯერჯერობით ბევრი აქვს სასწავლი“. ქართული ონლაინმედიის შეფასებისას ზაზა ცოტნიაშვილი აღნიშნავს, რომ მედიას მეტი აკადემიზმი სჭირდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთ საფრთხისშემცველ მოვლენას აშუქებს და ეს დასავლური წამყვანი მედიისგან უნდა ისწავლოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ დასავლეთშიც ყველა მედია კარგად აშუქებს ასეთ თემებს, მეტიც, „პირობითად სი-ენ-ენი და ბიბისიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან გაშუქებით (თუმცაღა, ორივე მაღალი სტანდარტების მედიაა)“.

ნატა ძველიშვილი ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის არცთუ ისე ხარისხიანი გაშუქებისას პირველ რიგში ხელისუფლების პასუხისმგებლობის პრობლემას ხედავს,

რადგან ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება და ჟურნალისტებთან ურთიერთობა. „ნორმალურ შემთხვევაში უნდა შეიქმნას შტაბი, ჟურნალისტმა უნდა იცოდეს, ვინ არის სპიკერი, ვის უნდა ეკონტაქტოს, ვისგან უნდა აიღოს კომენტარი, ვინ მისცემს მათ ინფორმაციას, სად აქვთ შესვლის უფლება, სად არ აქვთ და ა.შ. როგორც წესი, სიხშირეები იხშობა იქ, საიდანაც არ სურს ასეთ დროს ხელისუფლებას დეტალების გასაჯაროება“. მისი თქმით, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მიმდინარე სპეცოპერაციისას ყველაფერი ქაოტურად მიმდინარეობდა, ასეთ დროს კი მედია ილანძღება, მაგრამ მედია ასეთ სიტუაციაში ცდილობს, რა საშუალებაც ექნება, იმით თვითონ გადაამოწმოს ინფორმაცია. მედიაექსპერტის აზრით, ტერორიზმის საკითხებისა და მსგავსი ტიპის თემების გაშუქება უცხოეთში უფრო უადვილდებათ, რადგან იქ ანგარიშვალდებულება არის უფრო მაღალი და როდესაც ანგარიშვალდებულია ხელისუფლება, ის აწვდის ინფორმაციას ჟურნალისტს და მასაც უადვილდება ბალანსის დაცვა და ინფორმაციის მიწოდება, - „ჩვენთან ჟურნალისტი ცდილობს, რომ რაღაც მაინც უთხრას საზოგადებას, რადგან მაყურებელი ელოდება შენგან რა მოხდა, ამიტომ ცდილობ ყველაფერი მოიპოვო და ხშირად არაფრის მთქმელი კომენტარებით შეავსო ეთერი“. ასეთ დროს არასწორი და დაუდასტურებელი ინფორმაციის გავრცელების რისკი იმატებს, რაც სტერეოტიპების, მითებისა და სპეკულაციის საშუალებას იძლევა, მაგრამ, მისი თქმით, ეს მედიას ვალდებულებისგან არ ათავისუფლებს, - „მედიას უნდა ახსოვდეს პასუხისმგებლობა, მიუხედავად იმისა სახელმწიფო როგორ მოქმედებს, მუდმივად უნდა ეცადოს გათვალისწინებული ჰქონდეს და იცოდეს, რომ ხელი არ შეუწყოს გარკვეული ჯგუფებისთვის ზიანის მიყენებას, დისკრიმინაციასა და სტერეოტიპებს“.

გიორგი გოგუაძე ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქებისას მედიისა და მათ შორის, ონლაინმედიის მეტ პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას, რადგან აბსოლუტურად გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციები ვრცელდებოდა და აქტუალური ხდებოდა დღის განმავლობაში, რასაც მსგავსი ტიპის თემების გაშუქების გამოუცდელობას უკავშირებს, თუმცაღა, ექსპერტის აზრით, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობა უფრო მნიშვნელოვანი იყო: „სპეცოპერაცია

ტაქტიკურად უნდა იყოს გამართული და ჟურნალისტები საფრთხის ქვეშ არ უნდა იყვნენ, აქ უკვე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და ვალდებულებაა, შემოხაზოს კონკრეტული ადგილები, მიუთითოს შესაბამისად და ჟურნალისტების საშუალებით საზოგადოებასთან კომუნიკაციაში იმყოფებოდეს“.

ამირან სალუქვაძეს მიაჩნია, რომ ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციისას სახელმწიფოს მხრიდან დაშვებული იყო შეცდომები და მათ ეს აღიარეს. ბუნებრივია, შეცდომები ჰქონდათ ჟურნალისტებსაც. ეს იყო გამოუცდელობა. ასეთი მასშტაბური ოპერაციები არასდროს ჩატარებულა თბილისში. ექსპერტის აზრით, სახელმწიფოს უნდა შეექმნა პრესცენტრი, შემოესაზღვრა ადგილები, რომლებიც ჟურნალისტებს არ უნდა გადაეკვეთათ ან არ დაეტოვებინათ, - „მედია მაინც მოახერხებდა ინფორმაციების მოპოვებას, ეს მედიის მამოძრავებელია, მაგის აკრძალვა არ შეიძლება, რადგან მაშინ არსს დაკარგავს. მედიამ უნდა მოიპოვოს ინფორმაციები, მაგრამ იცოდეს როდის, როგორ და რა ფორმით გააშუქოს, არ უნდა გამოიყენოს ეს ინფორმაციები საზოგადოების საზიანოდ და ვიწრო ინტერესების მისაღწევად“.

მედიამკვლევარი სოფო გელავა ტერორიზმის გაშუქებისას ჟურნალისტებისთვის მთავარ დილემაზე საუბრობს: „ერთი მხრივ ჟურნალისტი ვალდებულია შეძლოს მედიის მომხმარებელთა ინფორმირება, მეორე მხრივ კი, საკმაოდ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რომ ისედაც ტრაგიკული მოვლენების დრამატიზება და მკითხველის/მსმენელის კიდევ უფრო მეტად დაშინება არ გამოუვიდეს“. სოფო გელავას მიაჩნია, რომ ქართულ ონლაინმედიებში იშვიათია ისეთი მედიაარხები, რომლებიც ეთიკური სტანდარტებით აშუქებენ ნებისმიერ საკითხს, მათი უმრავლესობა ტაბლოიდურია და ხელს უწყობს საზოგადოებაში ქსენოფობიური განწყობების გაღვივებას, - „ეს სააგენტოები მოქალაქეებს მოიხსენიებდნენ ტერორისტებად, უკავშირებენ ეთნიკურ ჯგუფებს, კონკრეტულად კი - ქისტებს“. მ ედიაანალიტიკოსი ქართულ და უცხოურ ონლაინმედიებს შორის დიდ განსხვავებას ხედავს და ეს არ ჩანს მხოლოდ ტერორიზმის თემების გაშუქებისას, იგივე მდგომარეობაა კრიმინალის, სასამართლო პროცესების, დანაშაულის, ბავშვთა უფლებების და სხვა თემების გაშუქების დროს: „დასავლურ

პასუხისმგებლიან მედიას აქვს საკუთარი საკმაოდ ძლიერი კოდექსი, თუ როგორ უნდა გაშუქდეს კონკრეტული თემატიკა. ასეთ გაწერილი სტანდარტებს ქართული მედია ნაკლებად მისდევს".

§ 3.3. სიმბიოზური კავშირი ტერორიზმსა და მედიას შორის

ექსპერტთა ნაწილი ტერორიზმისა და ქართული ონლაინმედიის ურთიერთობას სიმბიოზურს არ უწოდებს, მაგრამ მათ შორის ურთიერთსარგებლიანობის მომენტს არ უარყოფს, თუმცაღა, უმეტესი მათგანი დასავლეთში უკვე დამკვიდრებულ ტერმინს რელევანტურად მიიჩნევს და მთავარ მიზეზად ბიზნესინტერესები მიაჩნია.

ირაკლი ტაბლიაშვილი ინტერნეტის გაჩენით მედიის ხასიათის ცვლილებაზე ამახვილებს ყურადღებას: 21-ე საუკუნეში ინტერნეტის გააქტიურება, ონლაინმედიისა და სოციალური ქსელის პოპულარიზაციამ და ურთიერთობამ, განსაკუთრებით ფეისბუქის შემოჭრამ, შეცვალა მედიის ხასიათი, რადგან მთავარი საკითხი - წყაროების დამოწმება- აღარ არის აუცილებელი, განსხვავებით კლასიკური მედიისგან. მედიაექსპერტი მიიჩნევს, რომ მედია და ტერორიზმი ერთმანეთს კვებავენ, უფრო მეტად კი მაშინ, როდესაც ყველაზე გახსნილ სივრცეში, ინტერნეტსამყაროშია მოქმედება, ასეთი მედია ტერორიზმისთვის პლატფორმაა, ასპარეზია და ამასთან გაცილებით პოპულარული, ვიდრე გაზეთები: „ონლაინ მედია, ცხადია, არის მკვებავი ტერორიზმისა, რამდენადაც ის განუკითხავად აძლევს ასპარეზს ტერორისტებს. ამის მიზეზის მეტი წილი არის ბიზნესინტერესი, რადგან საქართველოში სარეკლამო ბაზარი საკმაოდ პატარაა".

ირაკლი ტაბლიაშვილის აზრით, როდესაც ტერორისტული აქტი ხდება, შეუძლებელია, მედია მუდმივად მის ირგვლივ არ ფოკუსირდეს, რადგან არ შეიძლება მსოფლიოს ნომერ პირველ გამოწვევას დაეთმოს ისეთივე დრო, როგორც სოციალურ, ეკონომიკურ ნიუსს, მაშინ, როდესაც ეს თემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება, - „ როცა ცხელია ნიუსი, ვერ შემოიყვან ხელოვნურად მინორულ თემებს, რაკი არსებობს მაჟორული თემა. მაგრამ, როცა არ გაქვს საინფორმაციო მიზეზი, მაშინეს თემა გადავა უკანა პლანზე, თუმცა, უყურადებოდ მაინც არ უნდა დარჩეს".

ირაკლი ტაბლიაშვილი მიიჩნევს, რომ ასეთი სიმბიოზის ჩამოყალიბებამ გარდა შიშისა და პანიკის დათესვისა, შესაძლოა, საზოგადოებას წინააღმდეგობას უნარი გაუქროს და ბრძოლაზე ხელი ჩაქნევინოს, რაც ტერორისტული ორგანიზაციების უმთავრესი მიზნის შესრულება იქნება. მედიაანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ქართულ ონლაინმედიებში გამონაკლისის გარდა, ტერორიზმი იოლად ახერხებს საკუთარი ნარატივის შეტანას, მაგრამ არიან გამორჩეული ოლნაინმედიები, რომლებისთვისაც არ არის პრიორიტეტი პოპულარობის გაზრდა სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე.

ზაზა ცოტნიაშვილის აზრით, მედიისა და ტერორიზმის ურთიერთობას განაპირობებს ტერორიზმის ბუნება და ინტერესი, რომ რაც შეიძლება ვრცლად, ფართო მასშტაბითა და მსხვილი პლანით გაშუქდეს ტერორისტული აქტი, რათა დაინერგოს შიში. როდესაც ტერორიზმის ისტორიაზე საუბრობენ, იხსენებენ წარსულს და სხვადასხვა ისტორიულ ფაქტს, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საფრთხისშემცველი ტერორიზმი ხდება მაშინ, როდესაც ის მედიაში მაღალი სტანდარტებით არ შუქდება. „ყველაზე ყურადსაღები მოვლენაა 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი, როდესაც სი-ენ-ენ-ის შემთხვევით კადრში ცათამბჯენს შეეჯახა თვითმფრინავი და არავინ იცოდა, რა მოხდა. ყველას შემთხვევითი ფაქტი ეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ტერორისტული აქტი იყო და ამან ტერორისტთა ინტერესებზე დაასხა წყალი“.

კონფლიქტოლოგის აზრით, არ არის აუცილებელი მუდმივად ტერორისტულ აქტზე ფოკუსირება, სჯობს მის შესახებ ანალიტიკური მასალების მომზადება და ზოგჯერ თემიდან გადახვევაც: „ტერორისტული აქტით აჟიტირება არ არის საზოგადოებისთვის კარგი და ეს მხოლოდ ტერორისტების ინტერესებში შედის, ამდენად ტერორიზმს არ უნდა მიეცეს განსაკუთრებული მნიშვნელობა სიხშირის თვალსაზრისით, ამიტომ ის მნიშვნელოვან ნიუსებში უნდა შუქდებოდეს, მაგრამ არა მუდმივად. საზოგადოებაში შიში რომ არ გამოიწვიოს, უნდა გაშუქდეს ეთიკური ნორმების დაცვით და ყურადღება უნდა მიექცეს ინტონაციებს“. ზაზა ცოტნიაშვილის თქმით, შესაძლოა არასწორი მოქმედებით ანდა საერთოდ, უმოქმედობითაც მედიამ ტერორიზმთან უნებლიე კავშირი დაამყაროს და იგი ტერორისტული აქტის თანამონაწილე გახდეს.

ნატა ძველიშვილი მიიჩნევს, რომ მედიასა და ტერორიზმს შორის არსებულ ურთიერთობას ყოველთვის სიმბიოზურს ვერ უწოდებთ და ამის თაობაზე მხოლოდ კონკრეტული საქმეებითა და ფაქტებით უნდა ვიმსჯელოთ, - „რადგან არსებობენ მედიები, რომლებიც ძალიან კარგად აშუქებენ და ასეთ მედიები ცოტაა, არსებობენ მედიები, რომლებიც ფრაგმენტულად და არაეთიკურად აშუქებენ და ისინი ბევრია, თუმცაღა, განზოგადება არასწორი მგონია. კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ კონკრეტულად და წავუყენოთ ბრალი მედიას, რომ ხელი შეუწყო ტერორიზმს კონკრეტული მიზნების შესრულებაში“.

ნატა ძველიშვილის აზრით, მხოლოდ მომხდარ ტერორისტული აქტის გაშუქება მედიისგან არ არის სწორი გზავნილი, რადგან ტერორიზმი ეს არ არის განყენებული მოვლენა, ეს არის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებთან კორელაციაში, ამიტომაც, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაიშალოს თემა. თუ ჩვენ გვაქვს კონკრეტული შემთხვევა, უნდა მომზადდეს მასალები იმ გარემოებებზე, რომლებმაც გამოიწვია ეს ფაქტები.

ნატა ძველიშვილის თქმით, შიშისა და პანიკის დათესვის გარდა, მედიის არასწორმა ქმედებამ ტერორიზმის თემის გაშუქებისას შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა საფრთხე, მათ შორის ეთნიკური დაპირისპირებაც: „თუკი დავუშვებთ, რომ მათ შორის კავშირი იქნება, გამოიწვევს იმას, რომ გაძლიერდება სტერეოტიპები, ცრუ წარმოდგენები სხვადასხვა ჯგუფის მიმართ, გაძლიერდება დისკრიმინაცია გარკვეული ჯგუფების, რაც ხელს შეუწყობს შუღლის გაღვივებას. რაც ჩვენ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ვიცით, რომ ეს კონკრეტულ ჯგუფებს მიეწერებათ ხოლმე“. მედიაექსპერტი მთავარ პრობლემად მიიჩნევს რომანტიზების საკითხსაც, რადგან ამ შეთხვევაში ტერორიზმი პოზიტიურ ჭრილში გადაინაცვლებს, მეტი მხარდამჭერი გამოჩნდება და პრობლემის სიღრმე გაიზრდება.

გიორგი გოგუაძის აზრით, ტერორიზმსა და მედიას შორის სიმბიოზური კავშირი არსებობს, ადრე ეს კავშირი უფრო შესამჩნევი იყო, მაგრამ ზოგიერთმა შემთხვევამ დააფრთხო ტერორისტული ორგანიზაციები, მოაწყონ ისეთ ტერორისტული აქტები, რომლებიც

სანახაობაზე იქნება გათვლილი, თუმცაღა, ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ უარი თქვეს ამ შესაძლებლობაზე, უბრალოდ, რაოდენობა შეამცირეს. ამ ფაქტს ექსპერტი დიდი ტერორისტული ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი, ისლამური სახელმწიფოს დასუსტებასაც უკავშირებს, - ,,ალ-ქაიდა დიდი ხანია აღარ გამოჩენილა მედიაობიექტივში, მაგრამ ცოცხლობს, ძალებს იკრებს. ამასთან, რაც უფრო გააფეტიშებ ორგანიზაცია შენს თავს, მით მალე გელოდება აღსასრული. ზოგადად, დიდი ორგანიზაციები მაქსიმუმ 4-5 წელი არიან პიკში, შემდეგ კვდებიან. მაგ. 2001 წლის მერე ალ-ქაიდა არის უჯრედული ორგანიზაცია და საკმაოდ სუსტი, თუ მანამდე იყო კონსოლიდებული და მობილიზებული“.

გიორგი გოგუაძის აზრით, სიმბიოზურ კავშირს მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება საზოგადოებისთვის. უპირველესად კი, შიშისა და პანიკის დათესვას შეუწყობს ხელს, რაც, შესაძლოა, ქაოსისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოშლის დასაწყისი იყოს. ექსპერტი გადაბირების საკითხზეც ამახვილებს ყურადღებას. - „ტერორისტულ ორგანიზაციებს დამატებითი ძალების მიზიდვის შესაძლებლობა უჩნდებათ და ასეც მოხდა ბევრ შემთხვევაში. ოჯახები არ არის დაცული. მათ შვილებს შესაძლოა სიმპათია გაუჩნდეთ და ტერორისტულ ჯგუფებს შეუერთდნენ“.

ამირან სალუქვაძე მედიისა და ტერორიზმის კავშრის სიმბიოზურს უწოდებს და ამბობს, რომ ეს ტერმინი უკვე დამკვიდრებულია დასავლეთში და რელევანტურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებით იმავე საზოგადოებას ზიანს აყენებ, იმიტომ რომ, ტერორისტული ორგანიზაციებს მიზნებს ემსახურები,- „რა თქმა უნდა, ყველა მედიაარხი ამის გაბათილებას დაიწყებს, უამრავი არგუმენტი ექნება, მაგრამ ფაქტია, რომ კვლევების ყველა დასკვნა საწინააღმდეგოდ მეტყველებს. როცა ტერორისტული აქტის მთავარი მიზანი არის, გამოიწვიოს საინფორმაციო შტურმი, დაიკავოს საინფორმაციო სივრცე, ამ დროს მედია ტერორიზმს უთმობს მთავარ დროს, აქცევ მთავარ თემად და ატრიალებ დღეების განმავლობაში, ტერორიზმს უწყობ ხელს და ეხმარები. რამდენი არგუმენტიც არ უნდა მოიყვანონ, ჩემთვის ეს აქსიომაა. ამით მე, როგორც მოქალაქეს, საზოგადოების წევრს მაზიანებ. მე ვთვლი, რომ მთლიანად საზოგადოება ზიანდება“.

ამირან სალუქვაძე ამბობს, რომ ტერორისტული ორგანიზაციები ყოველთვის წინ არიან ერთი ნაბიჯით, რადგან ისინი ინიციატორები არიან. ისინი ტაქტიკას მიმართავენ და საერთაშორისო საზოგადოება, უსაფრთხოების სამსახურები, ამ ტაქტიკის საწინააღმდეგო რელსებს პოულობენ. როცა პოულობენ ისეთ რეცეპტს, რომელიც გავლენას ახდენს კონკრეტულ ორგანიზაციებსა თუ ზოგადად, ტერორიზმზე, ისინი იწყებენ ფიქრს და საკმაოდ ინოვაციურები არიან, - „ვინც ცუდს ფიქრობს, ყოველთვის წინ არის, ის ხომ ცუდზე ფიქრობს, მუდმივად გამოგონების რეჟიმშია და შენ მოქმედებ პოსტფაქტუმ. იწყებ შესწავლას, რა, როგორ და რა ტაქტიკით გააკეთა. მთავარია, მივაღწიოთ იმას, რომ ვიწრო ინტერესებისთვის არ გამოიყენონ ეს თემა“. ექსპერტის აზრით, ტერორისტულმა ორგანიზაციებმა ოდნავ უკან დაიხიეს და მუდმივად შოუს მოწყობას აღარ ცდილობენ, - ერთი მიზეზია ამის უკუეფექტი, ხოლო მეორეა, როდესაც მიზანს მიაღწევ, ამას შენარჩუნება სჭირდება, რაც სირიაში, რომლის 2/3 დაიპყრო, ისლამურმა სახელმწიფომ ვერ მოახერხა.

ამირან სალუქვაძე მიიჩნევს, რომ სიმბიოზური კავშირის მთავარი საფრთხე ტერორისტული ორგანიზაციების მიზნების მიღწევა და მათი გაძლიერებაა. მათი მიზანია, რომ იყვნენ ტრენდში და ისულდგმულონ. ამით იღებენ შემოსავლებს სპონსორებისგან, - „ახანგრძლივებ, ხელს უწყობ, ეხმარები და თუ ეხმარები, ე.ი. აძლიერებ, ანუ საზოგადოებას აყენებ ზიანს“.

მედიამკვლევარ სოფო გელავას აზრით, ტერორიზმის თემის გაშუქებით სარგებლობს როგორც მედია, ასევე ტერორისტული ორგანიზაციები და ეს სარგებელი ტერორისტული აქტის თუ ტერორისტული ორგანიზაციების სახელით ეთიკური გაშუქების შემთხვევაშიც სარგებელიანი იქნება, მედიას კი ინფორმაციის გავრცელებას ვერ შევუზღუდავთ, - „ტერორისტების გზავნილი ფართო საზოგადოებებამდე ეთიკური გაშუქებითაც მიდის, რასაც გვერდს ვერ ავუვლით. ეთიკურია გაშუქება, რომელიც შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ აღნიშნავს, რომ ესა თუ ის აქტი ტერორისტული იყო. ეთიკურია ის გაშუქებაც, როდესაც ჟურნალისტი აწვდის მსმენელს/მკითხველს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ რომელმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა კონკრეტულ აქტზე”. ეს სიმბიოზური კავშირი კი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებისთვის, რადგან ხელს

უწყობს ტერორისტული ორგანიზაციების მიზნებს, მათ შესახებ შეიტყოს ფართო საზოგადოებამ,- „ეს საზოგადოების ნაწილში თესავს პანიკას და შიშებს, გარკვეულ პირებში კი, ტერორისტულ ჯგუფებს მიმზიდველს ხდის". მედიაანალიტიკოსი არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ტერორიზმი იმ დოზით უნდა გაშუქდეს, როგორც სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური თემები, რადგან ასეთ დროს მედია მომხმარებლისგან იღებს დაკვეთას მიიღოს კონკრეტული მოვლენის შესახებ მეტი ინფორმაცია: „გარდა ამისა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინფორმაცია მხოლოდ ტრადიციული მედიით არ ვრცელდება. შესაძლოა, დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ტერორისტულ აქტს მხოლოდ 2 წუთიანი სიუჟეტი დაეთმოს, მაგრამ მოვლენის ამსახველი კადრები, შეფასებები, დრამატიზებაც, დაშინებაც ჩვენთან სოციალური მედიითაც აღწევს. არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ ახალგაზრდები ინფორმაციას არა ტრადიციული, არამედ სოციალური მედიიდან იღებენ". ამ ფაქტორებიდან გამომდინარე, თუ მედიის რომელიმე სახეობით ვერ მიიღებს მომხმარებელი ინფორმაციას, მაშინ მიიღებს მედიის სხვა სახეობით.

§ 3.4. ექსპერტების რეკომენდაციები

ექსპერტების მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა ბევრი ასპექტი მოიცვა. რჩევები შეეხებოდა როგორც რეიტინგის გამო მაღალ სტანდარტებზე უარის თქმას, ასევე, საზოგადოებასთან პარტნიორობის დაკარგვას, ბალანსის დაუცველობას, რომანტიზების საკითხს და ა.შ. ირაკლი ტაბლიაშვილს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია მედიის საზოგადოებასთან პარტნიორად დარჩენა ნებისმიერი თემის გაშუქებისას და მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე ეხება ტერორიზმს: „მედიამ, თანამშრომლებმა და მფლობელებმა უნდა გაისიგრძეგანონ, რომ მედია საზოგადოების პარტნიორი უნდა იყოს. მედიას უნდა ჰქონდეს ამის განცდა და მაინც და მაინც ტირაჟზე, არ უნდა იყვნენ პოპულარობასა და რეიტინგზე ორიენტირებულები, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ სასწორის ესოდენ გადახრა საზოგადოებასთან პარტნიორობის საპირისპიროდ, ძალიან ცუდია".

კონფლიქტოლოგ ზაზა ცოტნიაშვილს მიაჩნია, რომ ტერორიზმის გაშუქების შესახებ შექმნილი ინსტრუქციები ჟურნალისტებმა კარგად უნდა შეისწავლონ, გაითავისონ და პრაქტიკაში დანერგონ, რადგან სადღეისოდ ამ თემაზე ბევრი რჩევა დაგროვდა. იგი მედიას ურჩევს, კარგად დააკვირდნენ წამყვანი საშუალებების მიერ გაშუქებულ მსგავს ფაქტებს, ვინაიდან იცოდნენ, როგორ იმოქმედონ ასეთი შემთხვევების დროს და ამავდროულად, არ დაუშვან ის შეცდომები, რომლებიც მათაც აქვთ სხვადასხვა მიზეზთა გამო: „არ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება, არსებობს კარგი, ხარისხიანი გაშუქების მაგალითები. ავიღოთ მაგალითი ბი-ბი-სისგან, რომელიც არის აკადემიური გაშუქების ზუსტი მაგალითი, ისინი თითოეულ ფაქტს, საკმაოდ გაწონასწორებულად, პროკურორის ინფორმაციაზე დაყრდნობით გადასცემენ“. ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვასა და მოსახლეობის ინფორმირებას შორის ბალანსის დაცვაზე და ჟურნალისტებს მოუწოდებს, ახსოვდეთ მთავარი - გააშუქონ ინფორმაცია ისე, რომ საზოგადოებაში დამატებით პანიკა და შიში არ დათესონ.

ნატა ძველიშვილმა ეთიკური ნორმებისა და ამბის გააზრების პრობლემის შესახებ გაამახვილა ყურადღება. მედიაექსპერტი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ბალანსი უნდა იყოს დაცული, საჯარო ინტერესს, საზოგადოების ინფორმირებასა და ტერორისტული მიზნებისთვის ხელის არ შეწყობას შორის, რადგან საზოგადოება არ უნდა დაზარალდეს და მიიღოს ინფორმაცია, მაგრამ ამ ინფორმაციით ტერორისტულმა ჯგუფებმა საზოგადოებაზე განსაკუთრებულად არ უნდა იმოქმედონ: „ყველაზე მნიშვნელოვანია, მედიას გააზრებული ჰქონდეს, რატომ აშუქებს კონკრეტულ ამბავს, რატომ გვჭირდება ეს არაფრისმთქმელი თვითმხილველები, რატომ ვწერთ ნიუსებად 5-6-10 მასალას, თუკი შეგვიძლია სრულყოფილი მასალა დავწეროთ. ეს არის კითხვები და დილემები, რომლებიც ჟურნალისტს აქვს თითოეული შემთხვევისას, მაგრამ თუ ბალანსს იპოვის და გაიაზრებს, რას და რატომ აშუქებს, მაშინ გაართმევს თავს სხვა პრობლემებს“. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელ დირექტორს მიაჩნია, რომ გასათვალისწინებელია რომანტიზების საკითხი, როდესაც მედია გადაჭარბებული ყურადღებით წარმოადგენს ტერორისტებს რომანტიკულ პირებად, - „ტერორისტების

წარსული ცხოვრების გაშუქებით, პოზიტიურ ჭრილში გადაჰყავს და წარმოადგენს გმირებად, რომელმაც დათმო ყველაფერი და წავიდა საბრძოლველად. ეს არის ძალიან დიდი პრობლემა... მსოფლიოს წამყვან გამოცემებში ისიც კი იყო მოსაზრება, რომ პირველ გვერდზე არასდროს არ გავიტანოთ კონკრეტული ტერორისტი ყდაზე, რათა პოზიტიურ ჭრილში არ წარმოვაჩინოთ. მსოფლიო მედიას ტერორიზმმა დიდი თავსატეხი გაუჩინა“.

გიორგი გოგუაძე ყურადღებას განათლებას, პროფესიული სტანდარტების ამაღლებასა და ამ თემის გაშუქების ცოდნაზე ამახვილებს - „ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ საუნივერსიტეტო დონიდან მედია აღვჭურვოთ შესაძლებლობებით, რომ მოვამზადოთ ჟურნალისტები, რომლებიც ეთიკას მისდევენ, რომლებსაც საკითხი ესმით და ერთმანეთისგან ასხვავებენ, რა არის ტერორიზმი, რა არის მილიტანტური შეტევა. პრობლემა გაცილებით დიდია, ჩვენ ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, დღეს თუ არ გვემუქრება საფრთხე, ხვალ აუცილებლად დაგვემუქრება. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ტერორიზმის პრევენციის ყველაზე კარგი საშუალება არის წინასწარი მზაობაა“. ექსპერტი მიიჩნევს, რომ მედიას უნდა ჰქონდეს ეთიკური ზღვარი, რა თემის შესახებ შეიძლება რეიტინგზე იმუშავო, - „ბევრი რამეა რეიტინგული, მაგრამ უნდა იცოდე, სად არის ეთიკური ზღვარი, არ შეიძლება ადამიანების სიცოცხლე საფრთხეში ჩააყენო. მაგრამ ეს არის ბუნებრივია მორალი და არ შეიძლება კანონის ძალაში მოქცევა“.

ამირან სალუქვაძის აზრით, მოსაძებნია ბალანსი უსაფრთხოებასა და ინფორმაციის მიწოდებას შორის. როცა ეს ბალანსი ირღვევა ტერორიზმის სასარგებლოდ, ზიანდება საზოგადოება - ინფორმაცია უნდა მიაწოდო საზოგადოებას, მაგრამ მიაწოდო დოზირებულად, ისე, რომ არც მე დავზიანდე და არც ტერორისტებმა ნახონ სარგებელი, - „რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ ტერორიზმი არ იყოს ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისთვის გამოყენებული. თუ ჟურნალისტი ხარ, იყავი ჟურნალისტი და დაიცავი ეთიკის ქარტია. ყველა პროფესიას არ აქვს ეთიკის კოდექსი, ასეთი პროფესიაა ძალიან ცოტა“.

ექსპერტი მუდმივად ამახვილებს ყურადღებას ხშირი გაშუქების დაიგნორებაზე, რათა ტერორისტთა მიზნის განხორციელებას არ შეეწყოს ხელი. დღეს შეიძლება ამით დაკარგო ფინანსები, რადგან მეორე მედიამ გააშუქა, მაგრამ ხვალ მოიგებ და იქნები საკუთარ პროფესიასა და საზოგადოებასთან მართალი. შენ აშუქებ, მაგრამ ამბობ, რომ ჩვენ ამას დოზირებულად მოგაწვდით, რათა ტერორისტებმა ვერ მიაღწიონ მიზნებს, ჩვენთვის მთავარი არ არის რეიტინგი და ჩვენ ვართ პასუხისმგებლიანი მედია, - როცა ტერორისტები ახორციელებენ ჩემზე შტურმს და მედია კიდევ საზოგადოებაზე ახორციელებს საინფორმაციო შტურმს, ანუ გამოდის ტერორისტული და საინფორმაციო შტურმი, ეს არის პრობლემა და ეს უნდა გავიაზროთ, თორემ საუბარი არ არის ინფორმაციისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე“.

ამირან სალუქვაძეს მიაჩნია, რომ მთავარია ჩვენ მივიდეთ იმ მდგომარეობამდე, რომ მედიამ არ გამოიყენოს ტერორიზმი საკუთარი ინტერესებისთვის - „გამოსავალი არის ის, რომ მედია მივიდეს თვითშეგნების მაღალ დონემდე, სახელმწიფო აზროვნებამდე, - არ შეეცდება ტერორიზმის გამოყენებას, მედიას ვერ გამოიყენებს ტერორიზმი ან თუ გამოიყენებს მინიმალური ეფექტით. აქეთკენ მიდის ცივილიზებული სამყარო და საქართველო მივა თუ არა, ეს ჩვენზეა დამოკიდებული. წესით ჩვენც უნდა მოვახერხოთ, რადგან ცივილიზებულ სამყაროში გაცილებით მეტი კონკურენცია და მეტი პოლიტიკური ინტერესია“.

მედიაანალიტიკოს სოფო გელავას აზრით, ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს, რომ მას ინფორმირების ვალდებულება აქვს. მედიამკვლევარი გასცემს რეკომენდაციას, რომ ჟურნალისტმა მომხდარ აქტს არ უნდა მიანიჭოს კვალიფიკაცია, არ უნდა წაახალისოს ქსენოფობიური განწყობები. მისი აზრით, ქართული მედია ხშირად იყენებს ქსენოფობიურ ტერმინებს მუსლიმი თემის მიმართ, რაც მათ მარგინალიზებასა და სტიგმატიზებას უწყობს ხელს, - „ხდება მუსლიმებისა და ქისტი თემის დაკავშირება ტერორიზმთან. ტერორისტული ჯგუფებისა და ტერორისტული აქტების გაშუქებისას, სასურველია, რომ ჟურნალისტმა იცოდეს ისლამთან დაკავშირებული ბაზისური ტერმინები მაინც. მაგალითად, თვითმკვლელ ტერორისტს არ უწოდოს შაჰიდი, არ მოახდინოს ტერორისტებს დაკავშირება ისლამთან, რაც სწორედ რომ ტერორისტების მიზანს ემსახურება და ახდენს მათი

საქმიანობის რელიგიის სახელით ლეგიტიმაციას". სოფო გელავამ ტერორიზმისა და ტერორისტების რომანტიზებას სახიფათო უწოდა.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადასტურდა ოთხივე ჰიპოთეზა. ორი ქართული ონლაინმედიის, on.ge-სა და netgazeti.ge-ს რაოდენობრივი შედეგების ანალიზის მიხედვით დადგინდა, რომ ქართული ონლაინმედიები ტერორიზმის პრობლემას სათანადო ყურადღებას არ უთმობენ და საზოგადოებას მსოფლიოში მიმდინარე ტერორისტული აქტებისა და ამ პრობლემის არსის შესახებ ინფორმაციას არ აწვდიან. ამის დასტურია გაშუქებული მასალების რაოდენობა და ყველაზე მრავალმსხვერპლიანი ტერაქტების გაუშუქებლობა. ეს არ არის იმით გამოწვეული, რომ თითქოს მათ არ სურთ, ტერორისტული ორგანიზაციების იდეები გამოააშკარავონ, რადგან ამ შემთხვევაში ეთიკური და მაღალი პროფესიონალური სტადანრტებით იქნებოდა გაშუქებული მედიაარხების მიერ გავრცელებული მასალები.

რაოდენობრივი შედეგებისა და მულტიმედიური მასალების ანალიზმა დაადასტურა მეორე ჰიპოთეზაც: ქართული ონლაინმედიები სიღრმისეულად არ ააშუქებენ ტერორისტულ აქტებსა და ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს, რაზეც მეტყველებს ამ თემაზე ანალიტიკური მასალების სიმცირე.

სიღრმისეული ანალიზის მიზნის შესასრულებლად დასახელებულ მედიასაშუალებებს შეეძლოთ გამოეყენებიათ მუტლიმედიური ხერხები, რომლის საშუალებასაც ონლაინმედიის ხასიათი იძლევა და შესაძლებელია ონლაინპლატფორმებზე მოკლედ, საინტერესოდ და სიღრმისეულად მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება, მაგრამ მათ კარგად ეს ასპექტიც ვერ აითვისეს.

სიღრმისეული ინტერვიუს მონაწილე სხვადასხვა სფეროს ექსპერტებმა მედიის მიერ ამ თემის ანალიტიკურად გაუშუქებლობა ერთ-ერთ მთავარ პრობლემად დაასახელეს, რადგან მხოლოდ მომხდარი ტერორისტული აქტის გაშუქება მედიისგან არ არის სწორი გზავნილი, მეტიც, ეს იწვევს საზოგადოებაზე ინფორმაციულ შტურმს და ტერორისტული ორგანიზაციების წინა პლანზე გადმოწევას, რაც მათი მიზნების შესრულებაა. ტერორიზმი უნდა გაშუქდეს სიღრმისეულად, ვინაიდან არ არის განყენებული მოვლენა და სოციალურ

და ეკონომიკურ საკითხებთან კორელაციაშია, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მოხდეს აქცენტირება მიზეზებსა და გამომწვევ გარემოებებზე.

მედიაგზავნილების მესიჯების ანალიზმა, მედიაფრეიმებმა, მულტიმედიური მასალების ანალიზმა და ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა დაადასტურა მესამე ჰიპოთეზა, რომ ქართული ონლაინმედია ეთიკურად არ აშუქებს ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებს. მედიაგზავნილების მესიჯების ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი სახის პრობლემები : ზედმეტი სიმძაფრით და აჟოტაჟით გაშუქება, კომენტარის პირდაპირ გადმოთარგმნა და უცხოური მედიის შეცდომის გამეორება, რელიგიური თემის სენსიტირება, სტიგმატიზაცია, ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის შეუცვლელად და პირდაპირ გავრცელება, ოფიციალურობის მინიჭება და ტერორისტების მიმართ პოზიტიური ემოციების გაჩენა.

თითქმის იდენტური პრობლემები გამოიკვეთა მულტიმედიური მასალების შესწავლის შედეგად, როდესაც მედიაარხებმა უცვლელად გადმოიტანეს ტერორისტების მიერ გავრცელებული ვიდეოები ან გაავრცელეს ფოტოები, რომლის დროსაც უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვა ან საზოგადოებაში შიში და პანიკა დაითესა. მედიაფრეიმების გამოკვეთისას, რომელიც კლიპინგის საშუალებით დადგინდა, ტერმინოლოგიის სწორად გამოყენების პრობლემა გამოაშკარავდა; ჟურნალისტები ტერმინოლოგიას შინაარსობრივად ზუსტად ვერ არჩევენ. აღნიშნულ საკითხს ონლაინმედია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს, რათა შეცდომაში არ შეიყვანოს საზოგადოება. ამასთან ჩნდება რელიგიური კონტექსტის მატარებელი ფრეიმები, რომლებიც არაეთიკურობის მაჩვენებელია და შესაძლოა, უფრო სერიოზული პრობლემებიც გამოიწვიოს.

სიღრმისეული ინტერვიუს ჩატარებისას ყველა ანალიტიკოსმა ეთიკური გაშუქების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, რადგან ეთიკური გაშუქება არის ნებისმიერი მაღალი ხარისხის მედიის პასუხისმგებლობა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ტერორიზმის გაშუქებისას ჟურნალისტები მრავალი მორალური და ეთიკური დილემების წინაშე აღმოჩნდებიან და უნდა ახსოვდეთ, რომ იმ ერთი მიზნის გარშემო გაერთიანდნენ, რასაც

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია. ანალიტიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს სტიგმატიზაციისა და სენსიტირების საკითხზეც და აღნიშნეს, რომ დაუშვებელია კონკრეტულ რელიგიურ თუ ეთნიკურ ჯგუფებთან ტერორისტული აქტების გაიგივება და ტერორისტების ცხოვრების ისტორიების მგრძნობიარე ჭრილში განხილვა.

კვლევის ყველა ნაწილმა დაადასტურა ჰიპოთეზა, რომ ქართულ ონლაინ მედიასა(და არა მარტო ონლაინ) და ტერორიზმს შორის არსებობს ურთიერთსარგებლიანობა. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები კი ამ სიმბიოზური კავშირის მახასიათებლებია. რაოდენობრივი შედეგების ანალიზით გამოიკვეთა, რომ არ შეიძლება ამ თემის გაუშუქებლობა, რადგან საზოგადოებას არ ექნება სრული ინფორმაცია, რაოდენ გლობალური პრობლემაა ქვეყნისა და მსოფლიოსთვის ტერორიზმი. ამასთან, ინფორმაციის უქონლობა უადვილებთ ტერორისტულ ორგანიზაციებს საკუთარი მიზნების შესრულებას და ამ შემთხვევაში ადამიანთა გადაბირებას, - რეკრუტირების საკითხი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სიღრმისეული გაუშუქებლობა იწვევს ტერორისტთა მიზნების შესრულებას. მშრალი ინფორმაცია მათი სარგებელია, ვინაიდან მუდმივად აქტუალურები არიან, ამასთან ადამიანებს თრგუნავენ და იწვევენ საზოგადოებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების დესტაბილიზაციას.

არაეთიკური გაშუქების დროს ტერორისტები იღებენ დიდ სარგებელს. ამ შემთხვევაში შესაძლოა საზოგადოება ერთმანეთს დაუპირისპირდეს ან პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, პოლიტიკურმა პარტიებმა წამოწიონ ისეთი საკითხები, რომლებიც მათი ხელისუფლებაში დარჩენის ან მოსვლისთვისაა აუცილებელი. რა თქმა უნდა, ამით მთლიანი საზოგადოება დაზარალდება. საზოგადოებისთვის ამ შემთხვევაში საფრთხის შემცვლელია სენსიტირების საკითხი, რომელიც ტერორისტების მხრიდან ადამიანთა გადაბირებას უკავშირდება.

მულტიმედიური გაშუქების დროსაც გამოიკვეთა ურთიერთსარგებლიანობის მაგალითები: ფოტორეპორტაჟში ძირითადად მოცემულია პანიკაში მყოფი ადამიანების ფოტოები. ეს სურათები სხვადასხვა ვებგვერდს ცალ-ცალკე ჰქონდა გავრცელებული, ხოლო ქართულმა

ინტერნეტგამოცემამ ფოტორეპორტაჟად შესთავაზა მომხმარებლებს. ასეთი ფოტოები კარგად „იყიდება“ და ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, მომგებიანია, მაგრამ ამით ტერორისტებმაც სასურველი შედეგი მიიღეს, იმოქმედეს ადამიანებზე, საზოგადოებაში დათესეს შიში და პანიკა.

თითქმის ყველა ანალიტიკოსი ხედავს ურთიერთსარგებლიანობას ქართულ ონლაინმედიასა და ტერორიზმს შორის. აღნიშნული პრობლემების გარდა, მათ ყურადღება გამახვილეს სიმბიოზური კავშირის სხვადასხვა უარყოფით შედეგზე. ყველა მათგანმა გამოყო საზოგადოების დათრგუნვისა და დესტაბილიზაციის პრობლემა, ეთნიკური დაპირისპირების(სტიგმატიზაცია) და რეკრუტირების საკითხი. მათ აღნიშნეს, რომ სიმბიოზურ კავშირს შეუძლია, საზოგადოებას წინააღმდეგობის უნარი გაუქროს და ბრძოლაზე ხელი ჩაქნევინოს, რაც ტერორისტული ორგანიზაციების მიზნის შესრულება იქნება.

არასწორი გაშუქებით (ზოგიერთისთვის კი, ზოგადად, გაშუქებით) სრულდება მათი მიზანი, შესაბამისად, ტერორისტული ორგანიზაციები არსებობას აგრძელებენ, ძლიერდებიან და შემოსავლებს იღებენ სპონსორებისგან. ამ ურთიერთობის მთავარ მიზეზად მედიისთვის ყველა მათგანი ბიზნესინტერესებს ასახელებს, თუმცაღა, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიტიკური ინტერესებიც წინა პლანზე გადმოდის, რადგან ზოგიერთი მედიაარხი ცდილობს გლობალური პრობლემის ვიწრო პოლიტიკური ინტერესებისათვის გამოყენებას.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ კვლევის შედეგად დადასტურდა მედიასა და ტერორიზმს შორის ურთიერთსარგებლიანობის მომენტი, გამოიკვეთა ამ სიმბიოზის მახასიათებლები და რაც მთავარია, მიზეზებიც. მახასიათებლებისა და მიზეზების გამოვლენამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეყო რეკომენდაციები და მიგნებები.

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

მიგნებები და რეკომენდაციები ეფუძნება ტერორიზმის გაშუქების საერთაშორისო გამოცდილებას, ანალიტიკოსებთან ჩაწერილ სიღრმისეულ ინტერვიუებს და საკვლევ ონლაინგამოცემებში გამოქვეყნებული მასალების ემპირიულ ანალიზს.

- შესწავლილმა ონლაინგამოცემებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ტერორიზმი გაშუქებას, ამბის თხრობის გარდა, ეს საკითხი მეტი დაკვირვებითა და ანალიზით უნდა გაშუქდეს.
- ონლაინგამოცემებმა უნდა გამოიყენონ საკუთარი ძლიერი მხარეები (ვიზუალიზაციის კუთხით), რათა მარტივად, საინტერესოდ და სიღრმისეულად მიაწოდონ ინფორმაცია მომხმარებელს. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფოტოებისა და ვიდეობის სწორად გავრცელების საკითხს.
- ონლაინგამოცემები უნდა მოერიდონ დასავლური (უცხოური) მედიიდან პირდაპირ თარგმანს.
- ონლაინარხებმა სწორად და გააზრებულად უნდა გამოიყენონ ტერმინოლოგია, რათა არ გამოიწვიონ ეთნიკური თუ რელიგიური დაპირისპირება ან სტიგმატიზაცია. ონლაინგამოცემებმა უნდა გამოიყენონ მარტივი ენა, რათა საზოგადოების ყველა წევრისთვის გასაგები იყოს თემა და მისი აქტუალობა.
- უნდა შეცვალოს თხრობის რიტორიკა, როცა ტერორიზმის შემცველი ახალი ამბები თუ ისტორიები შუქდება (რომანტიზების საკითხი). ონლაინმედიას (ჟურნალისტს) გააზრებული უნდა ჰქონდეს, რატომ აშუქებს კონკრეტულ ამბავს.
- ონლაინგამოცემებმა უნდა აიღონ მეტი პასუხისმგებლობა და არ იმუშაონ „სენსაციურობის პრინციპით“. ონლაინმედიამ უნდა დაიცვას ეთიკური ზღვარი უსაფრთხოებასა და რეიტინგს შორის.
- ონლაინმედიას შეუძლია აიძულოს მთავრობა(უსაფრთხოების სამსახურები), უფრო რაციონალურად იმოქმედონ ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ. ჟურნალისტებმა

ამ თემის გაშუქებისას უნდა დაამყარონ აქტიური თანამშრომლობა იმ კოლეგებთან, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ტეორიზმის გარშემო.

- ონლაინგამოცემებმა უნდა დაიცვან სიზუსტე, ასევე, ბალანსი ინფორმაციის მიწოდებასა და საზოგადოების უსაფრთხოებას შორის.
- უნდა გაუმჯობესდეს ქართველი ჟურნალისტების დონე ისეთი თემების გაშუქებისას, რომელიც მგრძნობიარეა და ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: პოლიტიკური ექსტრემიზმი და ტერორიზმი(საუნივერსიტეტო დონიდან შესაბამისი განათლებით აღჭურვა).
- ეჭვგარეშეა, რომ ტერორიზმი უნდა გაშუქდეს, მაგრამ ჟურნალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ის ეთიკური დილემები, რომლებიც ამ თემის გაშუქებისას იჩენს თავს, რათა ტერორიზმი და მედია სიმბიოზურ დამოკიდებულებაში არ აღმოჩნდნენ.

კვლევის ლიმიტი

შეზღუდული დროისა და რესურსის გამო კვლევა მცირე ჯგუფში განხორციელდა. დაკვირვება განხორციელდა მხოლოდ ორ ონლაინმედიაზე, რაც სრული სურათის დანახვის საშუალებას არ იძლევა. უფრო მეტ ემპირიულ მაგალითებზე დაკვირვების შემთხვევაში, შეიძლება კვლევის შედეგები შეიცვალოს.

კვლევაში დასმული საკითხების არაერთგვაროვანი მიდგომების გამო პერსპექტივაში საჭიროა ამ თემის უფრო სიღრმისეულად კვლევა. მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ სხვა მედიაექსპერტები, სხვა გამოცემების რედაქტორები და რამდენად იზიარებენ ჟურნალისტები თავიანთი რედაქტორების პოზიციასა და კვლევაში მოცემულ რეკომენდაციებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სანიკიძე გ. (2006). ტერორიზმი - მართული პროცესები.
2. ურუშაძე მ. (2007). გლობალიზაცია – გლობალური ტერორიზმის საფრთხე.
3. ჭიღიტაშვილი ა. (2009). ტერორიზმი, როგორც გლობალური პრობლემა : კრიმინოლოგიური ანალიზი და ბრძოლის მეთოდები საქართველოში.
4. ჭიღიტაშვილი ა. (2010). ტერორიზმი თანამედროვეობის გლობალური პრობლემა.
5. რუბაშვილი ვ. (2003) ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციებში // ახალი აზრი №1 (7), ***ლინკი*** - https://bit.ly/2rTGSIV).
6. ლობჟანიძე გ. (2002) საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა
7. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური საგამოძიებო ბიუროს მასალები, (2002), „შემთხვევის ადგილის დათვალიერება ტერორისტული აქტების გამოძიების დროს“.
8. ჯანაშია ჯ. (2001), საუკუნის გამოწვევა(გვ. 16-17)
9. გახოიკიძე ჯ. (2003), „ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებანი საქართველოს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროცესში“, თავი III, გვ.205
10. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, საერთაშორისო ტერორიზმი. ***ლინკი*** - http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6296
11. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2015). ტერორიზმის გაშუქება - სახელმძღვანელო წესები. ***ლინკი :*** http://qartia.org.ge/terorrism/
12. BBC - სახელმძღვანელო პრინციპები. ***ლინკი:*** http://www.bbc.co.uk/editorialguidelines/guidelines/war-terror-emergencies
13. Canadian Media Journal of Communication - CJC. *რეკომენდაციები.* ***ლინკი :*** http://www.cjc-online.ca/index.php/journal/article/view/1579/1734
14. Chase A., (2004) A Mind for Murder: The Education of the Unabomber and the Origins of Modern Terrorism

15. Coll S., (2004) Ghost Wars: The Secret History of the CIA, Afghanistan, and bin Laden, from the Soviet Invasion to September 10, 2001.

16. Dart Center for Journalism and Trauma. რეკომენდაციები. *ლინკი*: http://dartcenter.org/topic/terrorism

17. Richard H. Schneider, Ted Kitchen(2007) – "Crime Prevention and the built Environment", (გვ., 163). *ლინკი* - https://bit.ly/2It6IgV

18. TERRORISM OFFENCES OF INTERNET PUBLISHING UK LEGAL NOTES(გვ.2). *ლინკი* - https://bit.ly/2kaFA7U

19. Williamson, Myra (2009). *Terrorism, war and international law: the legality of the use of force against Afghanistan in 2001*. Ashgate Publishing (გვ. 43).

20. League of Nations, (1937) Convention for the prevention and punishment of Terrorism, art.2

21. United Nations General Assembly, Report of the Ad Hoc Committee established by General Assembly resolution 51/210 of 17 December 1996, Sixth session (28 January-1 February 2002)

22. Laqueur W. (1999), New Terrorism. **ლინკი :** http://bit.ly/1rhne6p

23. Hoffman, B. (2006). "Inside Terrorism". Columbia University Press. *ლინკი* - https://nyti.ms/2MYNwpo

24. Weimann G. (2004). Special Report : How Modern Terrorism Uses the Internet. *ლინკი* - https://bit.ly/2lZywfe

25. Evan F. Kohlmann, 2008, "Homegrown" Terrorists: Theory and Cases in the War on Terror's Newest Front

26. Lauer, J (2008). "Money as Mass Communication: U.S. Paper Currency and the Iconography of Nationalism". გვ. 109–132.

27. Decker,W. (1980) "Terrorism as Communication". *ლინკი* - *https://bit.ly/2J3gQZp*

28. Martin, Gus (2010). *Understanding Terrorism: Challenges, Perspectives, and Issues.*

29. Dominic Rohner, Bruno S. Frey, (2007), Blood and ink! The common-interest-game between terrorists and the media, გვ. 228-229.

30. Stevens, T. and P. R. Neumann (2009) Countering Online Radicalization: A Strategy for Action. *ლინკი* - https://bit.ly/2KRoGKC

31. White, H. C. (2008) Identity and Control: How Social Formations Emerge (Princeton, NJ: Princeton University Press), (Chapter 6).

32. Spencer A., (2012) Terrorism And The Media. *ლინკი:* http://bit.ly/1SKCAaK

33. Walsh J.I., (2010) Media Attention to Terrorist Attacks: Causes and Consequences. *ლინკი* - http://sites.duke.edu/ihss/files/2011/12/IHSS_Research-Brief_Walsh.pdf)

34. Jean-Paul Marthoz, (UN, 2007) Terrorism and theMedia, A Handbook for Journalists. *ლინკი* - https://bit.ly/2J3YFmk

35. Michael Jetter, 2014, Terrorism and the Media. *ლინკი* - http://ftp.iza.org/dp8497.pdf

36. Faimau G. (2013). Socio-Cultural Construction of Recognition: The Discursive Representation of Islam and Muslims in the British Christian News Media. გვ.27 *ლინკი* - https://bit.ly/2KY5quO

37. Taha Najem, The symbiotic relationship between the media and terrorism, გვ.2 *ლინკი* - https://imctc.org/UploadedImages/636542881281355269.pdf

38. Michael Jetter, Terrorism and the Media: The Effect of US Television Coverage on Al-Qaeda Attacks, 2017

39. Dietram A. Scheufele, David Tewksbury, Fraiming, agenda setting, and priming : The evolution of three media effects models, 2007

40. John Martin L. (1985), Studies in Conflict, TerrorismThe media's role in international terrorism, გვ. 127-142

41. Wilkinson, Paul (1997). "The media and terrorism: a reassessment". *Terrorism and Political Violence*. გვ. 51–64

42. CBC (10 იანვარი, 2012). "Terrorist groups recruiting through social media". *ლინკი* - https://bit.ly/2KHGKYa

43. *BBC.* "Boko Haram: Nigerian Islamist leader defends attacks". *BBC.* *ლინკი* - https://www.bbc.co.uk/news/world-africa-16510929

44. Berger, Perez (2016). "Occasional Paper The Islamic State's Diminishing Returns on Twitter How suspensions are limiting the social networks of English-speaking ISIS supporters". *ლინკი* - https://bit.ly/2u3K3i7

45. CNN (26 თებერვალი, 2015) "ISIS getting social media megaphone (Opinion). *ლინკი - https://cnn.it/2zhID8X*

46. Halibozek, Edward P.; Jones, Andy; Kovacich, Gerald L. (2008). The corporate security professional's handbook on terrorism. *ლინკი* - https://bit.ly/2J5qKcX

47. Bockstette, Carsten (2008). "Jihadist Terrorist Use of Strategic Communication Management Techniques" *ლინკი* - https://bit.ly/2m3lfCE

48. BBC(2010), BBC Editorial Guidelines on Language when Reporting Terrorism". *ლინკი*- https://bit.ly/2NyaYe0

49. *The Trump Enigma(2017),* "International Terrorism Symbol Database" *ლინკი* - http://www.thetrumpenigma.com/islamic-symbols.html

50. Lauer, J (2008). "Money as Mass Communication: U.S. Paper Currency and the Iconography of Nationalism". გვ. 109–132.

51. Decker,W. (1980) "Terrorism as Communication". *ლინკი* - ***https://bit.ly/2J3gQZp***

52. Martin, Gus (2010). *Understanding Terrorism: Challenges, Perspectives, and Issues.*

53. Danner M, Kirtpatrick J, Kolakowski L, (1984), Terorism and the Media

54. Nourah Shuaibi, 2015, Symbiotic relationship revisited : A study on the impact of mass media on terrorism in the transatlantic region. *ლინკი* - https://unc.live/2KCzBZn

55. Elshimi M, (2018) Thinkig about the symbiotic relationship between the media and terrorism. *ლინკი* - https://bit.ly/2jq1iVd

კანონები და სხვადასხვა აქტები :

1. საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსი(2009)
2. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ (2004)
3. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2009)
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (1999)

დანართი

დანართი 1.

კითხვები ანალიტიკოსებს

1. დღეს ონლაინმედიის (სოციალური მედიის) პოპულარობა სულ უფრო იზრდება თქვენი აზრით გაუადვილათ თუ არა ამან ტერორისტულ დაჯგუფებებს საკუთარი მიზნების შესრულება ?
2. ონლაინ მედია(მთლიანად მედია) რა როლს თამაშობს ტერორიზმთან მიმართებაში ?
3. რა როლი აკისრია მედიას და რა საშუალებები გააჩნია ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ?
4. არაერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ მედია სიმბიოზურ დამოკიდებულებაშია ტერორიზმთან? კონკრეტულად, რა მიგაჩნიათ ამის მიზეზად? გახსენდებათ თუ არა ფაქტები და მაგალითები?
5. რა ეთიკური დილემების წინაშეა ჟურნალისტი ტერორიზმის გაშუქებისას ?
6. უცხოელმა ექსპერტებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ უმჯობესი იქნება, თუ ტერორიზმის აქტებს აქცევენ ისეთივე ნიუსად, როგორც ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს, პოლიტიკურ დაპირისპირებებს (ა. შ.) და მთელი დღის განმავლობაში არ იქნება საუბარი ამ თემის ირგვლივ. ეთანხმებით ამ მოსაზრებას ?
7. როგორ შეაფასებდით ქართული ონლაინ მედიის დონეს(რამდენად თვალშისაცემი იყო პროფესიული სტანდარტის დარღვევა) უკანასკნელი ტერორისტული აქტების და ისნის კონტრტერორისტული სპეცოპერაციის გაშუქების დროს ?
8. ჟურნალისტური სტანდარტების დაცვის მხრივ, რამდენად განსხვავდებიან ქართული და უცხოური (ონლაინ) მედიები ტერორიზმის გაშუქებისას ?
9. რა საფრთხეები შეიძლება გამოიწვიოს მედიასა და ტერორისტულ ორგანიზაციებს შორის სიმბიოზურმა კავშირმა ?
10. რა რეკომენდაციებს მიანიჭებდით უპირატესობას მედიაში ამ თემის გაშუქებისას.

Ivane Javakshishvili Tbilisi State University

Giorgi Gogberashvili

Characteristics of Terrorism and Media Symbiosis in Georgian Online Media

Mass Communications and Media Research

The Thesis Submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Mass Communication and Media Study

Under the direction of Mari Tsereteli
Associate Professor

Tbilisi, 2018